619
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 2 თებერვალი 1966 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 (175) — თებერვალი — 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



რუსთავის პეიზაჟი

ფოტო თ. არჩვაძისა

# კიდევ მრავალჟამის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი არსებობის ორმოცდახუთი წლის თავზე საბჭოთა საქართველომ მეორედ მიიღო უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ამ ამბავმა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსო ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მშრომელი, ყოველი საბჭოთა პატრიოტი, ამ ფაქტმა წინსვლის ახალი სტიმული მისცა მუდამ სახელოვან ქართველ ხალხს.

საქართველოს ძველი დროიდან მზიურ ქვეყანას ეძახიან. მართლაც, ენით აუწერელია მისი მშვენება. თვით ფერმწერალსაც გაუჭირდება გადმოგვცეს მთლიანი სურათი ქვეყნისა, სადაც ზამთარშიც კი, ღია ცის ქვეშ იფურჩქნებიან ყვავილები და მწიფდება ლიმონი, ხოლო მათ ზემოდან გადმოსცქერიან თოვლ-ყინულით დაფარული მწვერვალები, და ის ყინულები, თითქოს ბიბლიური დროებიდან შემორჩენილნი, ისე ძველნი არიან, რომ უკვე მწვანე და წითელი ფერი დასდებიათ; და ამ სიძველეს საოცრად ამკობს და უხდება მათს ქვემოთ გადაშლილი თვალგადაუწვდენელი ხასხასა ვენახები, უზარმაზარი ხილის ბაღები, აყვავებული, ნორჩი წალკოტები, რომლებითაც დაფარულია საქართველოს მიწაწყალი.

არის რაღაც სიმბოლიური სიძველისა და სიახლის ამ თავისებურ შერწყმაში; ასეთია თვითონ საქართველოს ისტორიაც. ეს არის უძველესი ქვეყანა და, იმავე დროს, ახალგაზრდა, ღონიერი ჭაბუკის სიცოცხლითა და სიხალისით სავსე. ქართული კულტურის სათავეები იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისში და ქართული საგმირო პოემა „ამირანი“ იქმნებოდა სწორედ მაშინ, როცა დაიწერა შუმერთა და აქადთა „გილგამეში“. ქართველ ტომთა ღვაწლზე, მათს მხედრულ სიმამაცეზე წერდნენ ჯერ ისევ ანტიკური ეპოქის გამოჩენილი მემატიანენი — სტრაბონი და პლუტარქე. ისტორიის მამამ — ჰეროდოტემ კაცობრიობის ისტორია იმის აღწერით დაიწყო, თუ როგორ მიეჭრნენ უცხოელები ქართველ ტომებს მათი ზღაპრული სიმდიდრის გასატაცებლად და როგორი საკადრისი პასუხი გასცეს მტერს ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა. ხალიბებმა, ე. ი. სწორედ ქართველთა წინაპრებმა პირველებმა აღმოაჩინეს რკინა და იმ უხსოვარ წარსულში ქართველებმა უკვე იცოდნენ მეტალურგიის მრავალი საიდუმლოება; ამას გარდა, იცოდნენ პურის მოყვანაც, ღვინის დაყენებაც, მათ უკვე ჰქონდათ ნამგალიც და ცელიც, გამოჭედილი თავისავე სამჭედლოში.

რა თვალი გასწვდება ქვეყნის ისტორიას იმ პირველი ნამგლებიდან დღევანდელ კომბაინებამდე, რა ჩამოთვლის ყველა განსაცდელს, რაც მსოფლიოს ამ შარა გზაზე (საქართველო ხომ მუდამ გზა იყო ევროპასა და აზიას შუა) მდებარე ქვეყანას განუცდია! რა ტანჯვა, რა ვაება არ უნახავს საქართველოს, რამდენჯერ გადაუწვავთ მისი სოფლები და ქალაქები, დაუნგრევიათ მისი ციხესიმაგრენი, მაგრამ ქართველს ისევ აუნთია კერა, ხელახლა ამოუყვანია თავისი სახლის ჩამონგრეული კედლები; ფურცლავ მატიანეს და ძრწის გული ამდენი ბრძოლების, ასეთი გაუთავებელი ომების აღწერისაგან. ვინ არ ყოფილა აქ, ამ მდიდარ მხარეში, ვინ არ მოსულა დასაპყრობად და გასაძარცვავად!

მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს საქართველო იყო ერთი უღონო ქვეყანა, რომელსაც ყველა სცემდა და სჩაგრავდა, ვისაც არ ეზარებოდა. სრულიადაც არა! ეს იყო ერთი უძლიერესი სახელმწიფო ევროპისა და აზიის მიჯნაზე, რომელთანაც შებმა და შებრძოლება ძლიერ სარისკო და სახიფათო იყო; უკვე IV საუკუნის პირველ ნახევარშივე, 337 წელს საქართველომ მიიღო ქრისტიანობა და ამიერიდან ის იქცა მთელი ცივილიზებული სამყაროს უძლიერეს ფორპოსტად; პირველს მას შეეხეთქებოდნენ ხოლმე აღმოსავლეთიდან დაძრული ურდოები და საქართველოც მათ გზას ულობავდა. ცნობილია, მაგალითად, რომ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს უჭკვიანესმა მეფემ და მამაცმა სარდალმა დავით აღმაშენებელმა არა მარტო თავისი სამშობლო იხსნა, არამედ იმავე დროს, განუზომელი ღვაწლი დასდო მთელ კაცობრიობას იმით, რომ დათრგუნა თურქ-სელჯუკთა ურდოები და გადაუკეტა გზა დასავლეთისაკენ.

ასეთი ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართველი ხალხის არა მარტო ბრძოლას და მხედრულ შემართებას, არამედ მის ღვაწლსაც სულიერი კულტურის სფეროში. დღემდე მოღწეული პირველი ქართული წიგნი „წამება წმინდისა შუშანიკისა“ დაიწერა თხუთმეტი საუკუნის წინ და დღესაც ის ჟღერს, როგორც უდიდესი ძეგლი კაცთმოყვარეობისა, როგორც ჰიმნი ადამიანისადმი, რომელიც ჰგმობს ბარბაროსობას, მუხანათობასა და მტარვალობას.

ქართული ლიტერატურის ისტორია — ერთი ვრცელი მარტიროლოგია; გადაათვალიერეთ მარტო სათაურები ძველი ქართული ძეგლებისა — თითქმის ყოველი მათგანის სათაური იწყება სიტყვით „წამება“ ან „სიბრძნე“... თავისთავად, ეს უკვე ახასიათებს იმ ლიტერატურას, რომლის ყველაზე მაღალი მწვერვალი მეთორმეტე საუკუნეში გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

მაგრამ მე აქ არ ვწერ არც ქართველი ხალხის ისტორიას, არც ქართული ლიტერატურის ისტორიას. ჩემი წერილის მიზანი ეს არ არის; მინდოდა მხოლოდ ამ დიდი ზეიმის დღეს კიდევ ერთხელ შემეხსენებინა მკითხველისათვის, თუ რაოდენ მადლიანი იყო მუდამ ქართველი კაცის მარჯვენა ბრძოლაშიც, შრომაშიც; მაშინაც, როცა ის ყანასა თუ ვენახში იყო, და მაშინაც, როცა კალამს აიღებდა ხელში.



თბილისი. ბეტონის მსხვილი ბლოკების ქარხანა

• • •

ორმოცდახუთი წელი შესრულდა იმ დიადი გარდატეხის შემდეგ, როცა საქართველო ახალი ისტორიის გზაზე გამოვიდა და ახალი, თავისუფალი სამყაროს — სოციალისტური წყობილების აშენება დაიწყო. ნახევარი საუკუნის წინ საქართველო იყო რუსეთის იმპერიის კოლონია, დამონებული ქვეყანა, რომელსაც გადაკეტილი ჰქონდა გზა წინსვლისა და განვითარებისაკენ.

იმ ხანებში, რევოლუციის წინ, საქართველო იყო მეტად მდიდარი და, იმავე დროს, მეტად ღარიბი ქვეყანა. ეს არ არის პარადოქსი. დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარეობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს. მაშ ამ მდიდარსა და მომცემ ქვეყანაში რათა ვართ ღარიბნი და ლატაკნი?“

ამ წყევლა-კრულვიან კითხვას პასუხი თვითონ ისტორიამ გასცა, რომელმაც ჩვენს თვალწინ ჩაატარა დიდი გაკვეთილი თუ პრაქტიკუმი სოციოლოგიის სფეროში და ცოცხლად დაგვანახა თუ რა განსხვავებაა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. ყველაფერი ეს ჩვენს თვალწინ მოხდა, ჩვენ ამ გარდატეხის მოწმენი და მონაწილენი ვართ... და აი ამიტომ მე არ შევუდგები განყენებულ მსჯელობას, არ დავიწყებ ციფრობრივ მონაცემთა ანალიზს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ამაღლდა ქართველი კაცის ცხოვრების დონე; ამას ყველა ნათლად ხედავს.

10.074
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



გეგუთი. მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

საკოლმეურნეო წყობილებამ ძირფესვიანად გარდაქმნა ქართველი გლეხკაცის ყოფა. აქაც ყოველ ნაბიჯზე უდიდეს წარმატებას ვხედავთ — 97 პროცენტს მთელი ჩაისას, რაც საბჭოთა კავშირს მოჰყავს, საქართველო იძლევა; წელს მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 186 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი; საერთოდ, შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკამ მოგვცა 1.178.200 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 181.200 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. საქვეყნოდ განთქმულია ქართული ღვინო და ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფები; დაუცხრომლად შრომობენ ჩვენი მევენახეები და მეჩაიეები, მეცხოველეები და მექანიზატორები, რათა ახალი მწვერვალები დაიპყრონ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

უხვი და მდიდარია საბჭოთა საქართველო. რას არ იძლევა ჩვენი მადლიანი და უხვი მიწა, როცა მას გამრჯე და დაუღალავი საბჭოთა ადამიანი დასტრიალებს თავს. ამ პატარა მიწაზე, სამოცდაათი ათას კვადრატულ კილომეტრზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, არ არის სოფელი და ქალაქი, რომ თავისი გმირი არა ჰყავდეს, ერთი კი არა, მრავალი სახელოვანი ადამიანი. მათ აავსეს მადლითა და ბარაქით მთელი საქართველო.

მაგრამ ჯერ კიდევ უხსოვარ დროს უთქვამთ ჰკვიან ადამიანებს, რომ არა მარტო პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი. ჩვენს ადამიანებს, ჩვენს მომავალ თაობას რძეზე ნაკლებად როდი სჭირდება კარგი წიგნი, რათა ისინი სულიერადაც აღიზარდონ, იყვნენ მუდამ მართალნი, სამშობლოს მოყვარულნი, მაღალი მორალის ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს მოქალაქენი, კომუნისტური მომავლის დამამკვიდრებელნი.



სამასი არაგველის ძეგლი.

გალის რაიონი. ჩაის პლანტაციაში.



მიმომხილველის პრეტენზია არა მაქვს-მეთქი, წელანვე ვთქვი. მართლაც, რას გასწვდები საქართველოს, სათქმელი აქ ბევრია. ბევრი რამ აქვს საამაყო ჩვენს ხალხს. დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ დღეს საქართველო არის უმძლავრესი ინდუსტრიული ქვეყანა; ცნობილია, რომ დღეისათვის საქართველო უშვებს ასეულ ათასობით ტონა ფოლადს, თუჯს, ნაგლინს; ქართველი მეფოლადეები, რომლებიც აღზარდეს და გამოაწრთეს დონბასელმა და ურალელმა მეტალურგებმა, დღეს თვითონ ასწავლიან ევროპისა და აზიის ცალკეული ქვეყნების ადამიანებს მეტალურგიის ურთულეს ხელოვნებას. ორმოცდაათზე მეტ უცხო ქვეყანაში გადის საქართველოს ინდუსტრიის ნაწარმი, იქნება ეს უნიკალური ლითონმჭრელი ჩარხები, თუ უზუსტესი ხელსაწყოები, ქუთაისის ავტომანქანები, თუ მრავალი სხვა რამ, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი!

ყოველივე ეს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფია. მან მისცა გზა ხალხის მანამდე დაგუბებულ ენერგიას; კომუნისტურმა პარტიამ ფრთა გაუხსნა ჩვენს ხალხს წინ გასაფრენად, ნანატრი მომავლის დასამკვიდრებლად. როგორც კი ქართულ მიწას თავისუფლების შუქი მოეფინა, წელში გასწორდა ხალხი, კვლავ ღონივრად გამართა მხრები, კვლავ ისწავლა ფოლადის გამოდნობა, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები აგო მტკვარზე, რიონზე, ხრამზე, აჭარისწყალზე, ალაზანზე და სხვა მდინარეებზე; ამ მძლავრმა ენერგეტიკულმა ბაზამ, უმდიდრესმა ბუნებრივმა რესურსებმა შესაძლებელი გახადეს უმაგალითოდ მოკლე ვადებში განხორციელებულიყო სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, წარმოქმნილიყო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის გიგანტები. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ჩქეფს შთაგონებული შემოქმედებითი შრომა, ნათლად ჩანს კომუნიზმის ხილული ნიშნები, დაუცხრომელი სიცოცხლე ჩქეფს ილიჩის ნათურით გაბრწყინებული საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში.

საქართველო იყო და არის მაღალი კულტურის ქვეყანა, ბრწყინვალე პოეტების, მოაზროვნეების, ფერისა და საჭრეთლის ოსტატების სამშობლო. ჩვენი ეროვნული საგანძური აურაცხელია და ყველაფერი ეს ჩვენ დღეს მსოფლიო ასპარეზზე გამოგვაქვს. ამ საგანძურში პირველ რიგში აღსანიშნავია რუსთაველისა და გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის ქმნილებანი. ახლებმაც შესანიშნავად დაამტკიცეს, რომ ღირსნი არიან ამ დიდი წინაპრების შვილებად იწოდებოდნენ. თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნებს გატაცებით კითხულობენ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. და განა მარტო მწერლობა! შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა წინ წასწიეს დაააყვავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღზარდა. მთელი მსოფლიო იცნობს ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევებს დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის დარგში; ქართველმა ფიზიკოსებმა შექმნეს სრულყოფილი აპარატურა ატომგულის რეაქციების გამოსაკვლევად; სახელოვნად იღვწიან ჩვენი გეოლოგები, ქიმიკოსები, ასტრონომები, ფიზიოლოგები, ჰუმანიტარული დარგის მეცნიერნი—ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნენი, ხელოვნებათმცოდნენი, მთელი ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო აკადემია, რომელიც საბჭოთა ეპოქის პირმშოა.

ამ დიდ წარმატებათა აღსანიშნავად მიენიჭა საქართველოს ლენინის ორდენი. კიდევ მრავალგზის მიელოს ჩვენს ქვეყანას ასეთი საპატიო და სასახელო ჯილდო!

გიორგი ნატროშვილი

# გზები, რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ



მთის კალთებზე ბულდოზერები გუგუნებდნენ, პირდაღებულ ხევებს კორდებიდან მონგრეული მიწით ავსებდნენ — ადგილებს ასწორებდნენ სამანქანო გზებისა და საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. ალაგ-ალაგ უკვე დამთავრებულ სახლებს გვერდით ხარაჩოშედგმული კედლები ედგა.

მთის ფერდობთან დიდი გვირაბი იწყებოდა, გვირაბში ვაგონებგამობმული ელექტროგამწევი მიმოდიოდა, მთის ქანები გამოჰქონდა გვირაბიდან. მიწის ზედაპირიდან შორს, ძალიან შორს, მეშახტის მუზარადზე ჩამოკიდული მაშუქებით ადამიანები წყვდიადს ებრძოდნენ.

ფეთქდებოდნენ დინამიტები. ზანზარებდა მთის გული.

ყველა უბანზე დაძაბულობა იგრძნობოდა. გასაკეთებელი ბევრი რამ იყო. მუშახელი კი აკლდათ.

ძია მაკარი, როგორც კი ჩავიდოდა სოფელში, ახალგაზრდებს შემოიხვევდა, სჯა-ბაასს გაუმართავდა, ჰყვებოდა მეშახტეთა ცხოვრებაზე; მაკარი ერთი უბრალო მეშახტე იყო, მაგრამ კოლექტივის საერთო მიზანი მას მუდამ საკუთარივით მიჰქონდა გულთან, ახარებდა ყოველი ახალი მუშის მოსვლა. ბინაც გზატკეცილის პირას ჰქონდა და საბარგო მანქანის ყოველ ამოსვლას გულისყურით ადევნებდა თვალს — აბა, ახალი ვინ ამოჰყავთ.

იმ დღესაც ამაზე ფიქრობდა მაკარი, სკამი აივანზე გამოეტანა და გაზეთებს ჩაჰყურებდა, თან ცალი თვალი გზისაკენ ეჭირა.

აღმართზე ძრავის გუგუნი მოისმა, მაკარმა გაზეთი განზე გადადო. საბარგო მანქანის ძარაზე ათამდე ახალგაზრდა იდგა. აღმართის შემდეგ ვაკე სწორედ მაკარის ეზოსთან იწყებოდა და მანქანებიც მუდამ აქ ჩერდებოდნენ.

ახლაც ასე მოხდა. გაჩერებაზე მანქანის ძარიდან ბიჭები ჩამოხტნენ, აქაურები იყვნენ, მაკარს მიესალმნენ და თავის გზას გაუდგნენ. ერთი კი გზაზე დარჩა, ეტყობოდა ახალი ჩამოსული იყო. მაკარმა გახედა, თითქოს ვერ იცნო, მაგრამ ვეღარც თვალი მოაშორა... მგონი სადღაც უნახავს ეს ბიჭი.

„უჰ, ეს ხომ ნოდარია, რა დამემართა, რომ უცებ ვერ მივხვდი", გაიფიქრა მაკარმა და ახლადმოსულს გასძახა:

— იოსავას ბიჭო, ამოიხედე ერთი აქეთ!

ჭაბუკმა ზევით აიხედა.

— ძია მაკარ—წამოიძახა გახარებულმა და კიბეებს აჰყვა.

ერთმანეთი გადაკოცნეს და დივანზე ჩამოსხდნენ.

სულ ცოტა ხნის წინ მაკარი ხობის რაიონში იყო სტუმრად, სოფ. ბიაში. იქ ინახულა ამ ჭაბუკის მამა — გრიგოლ იოსავა. გრიგოლმა მაშინ სტუმარს ახარა—ჩემი ნოდარი უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აბარებს გამოცდებსო.

„მაშ ახლა აქ რამ ჩამოიყვანა?"—გაიფიქრა მაკარმა, ბიჭი თითქოს ჩასწვდა მის ფიქრს და უთხრა:

— ძია მაკარ, გზაზე უნდა დამაყენო, შენი იმედი მაქვს, უნდა დამეხმარო.

— რა გზაზე, ბიჭო?

— მაღაროში მინდა დავიწყო მუშაობა.

მაკარმა გაკვირვებით გადახედა, არ იცოდა რა ეთქვა.

— ნუ გიკვირს, ძია მაკარ! ქულები არ მეყო, მეცა და ბევრი სხვაც გამოგვაბრუნეს უკან. შინ ვერ მივალ, ვიცი, მამაჩემი გამიწყრება. არა და, უსაქმოდ ხომ არ ვიხეტიალებ. თანაც ხელმოცარულ ჟურნალისტს კარგი მეშახტე არ სჯობია?

— ჰაი, ჰაი, რომ სჯობია.

მაკარი ისევ ფიქრებს მიეცა: წარმოებას მუშახელი აკლია. ეს ბიჭი პირდაპირ მისწრება იქნება ჩვენთვის, მაგრამ მამამისი რას მეტყვის, მის დაუკითხავად რომ გადავწყვიტო ეს საქმე?

— მამამ უნივერსიტეტში გაგგზავნა და მე მაღაროში დაგაწყებინო მუშაობა? ამით გრიშას გულს სამუდამოდ დავკარგავ. მოდი, ჯერ მშობლებს შეუთანხმდი.

— არა, ძია მაკარ. აღარ მინდა საქმე სახვალიოდ გადავდო... შენი ჭირიმე, სანამ თონე ცხელია... ძალღონე მერჩის, მონდომება მაქვს, ტოლებს არ ჩამოვრჩები. სწავლასაც სულ კი არ დავანებებ თავს!

მაკარი ჩაფიქრდა: ეს ბიჭი მართალს ამბობს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტობაც კარგი და საჭირო საქმეა, იურისტებიც სჭირდება ქვეყანას, ფილოლოგებიც, ფილოსოფოსებიც, მაგრამ მეტისმეტი რეტის-რეტიო—ნათქვამია; ყველამ თუ ის ჩაიდო გულში—მაინცა და მაინც იურისპრუდენციისა თუ ფილოლოგიის კანდიდატი და მერე დოქტორი უნდა გავხდეო, სად წავა! მეშახტე არ უნდა ქვეყანას, ხელოსანი, მუშა? ჭაბუკის ღონე და ენერგია განა აქ არ არის საჭირო? საჭიროა და მერე როგორ!

ერთხელ მაკარი თბილისში იყო, იმ დღეებში, როცა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები მიდიოდა. უცნაური სანახაობის მნახველი გახდა: უნივერსიტეტის ეზოში აუარებელი ხალხი დაინახა, ჩამბარებლებზე ერთი ათად მეტი მათი მშობლები და ნათესავ-კეთილები იდგნენ. ერთ კუთხეში დარცხვენილ და შეწუხებულ ჭაბუკს მოჰკრა თვალი, ჩაჭრილიყო, მაგრამ ამას აღარ ჩიოდა, სადარდელი სხვა ჰქონდა—დედა გულწასული გადასვენებულიყო სკამზე, მამას მიწისფერი ედო, თითქოს მათი შვილისათვის ამიერიდან ყველა გზა გადაკეტილიყოს ქვეყანაზე; ძალიან გაოცდა მაკარი, და იფიქრა—ნეტავ ვინ ჩააგონა ამ ხალხს, წუთისოფელში ბედნიერება მარტო კანდიდატების ხვედრიაო. მიიკითხ-მოიკითხა. აბა, რა გგონიათ, უთხრეს.

მაკარმა მაშინ არ იცოდა, რომ არსებობს სპეციალური საქაღალდეები, მაგარი მუყაოსაგან შეკერილი. საქაღალდეებს სათაურად აწერია: „საბუთები წოდებაში დამტკიცებისათვის". საკმაოდ კანცელარული ფრაზაა, მაგრამ ეს საქაღალდე ძლიერ ჰგავს იმათ, ასი წლის წინ თუ უფრო ადრე რომ ეჭირათ ხელში და აზნაურის წოდებაში დამტკიცებას ესწრაფოდნენ. აზნაურობა ახლა აღარ არის, მაგრამ ზოგიერთის თვალში იგი შეცვალა სწრაფვამ ამ წოდებისაკენ, რომელსაც ვინ მოსთვლის რამდენი საბუთის დაგროვება სჭირდება!

— ნუღარ ფიქრობ, ძია მაკარ—შეეხმიანა ჭაბუკი.

— რა გაეწყობა! დაწერე განცხადება.

ნოდარმა უცებ დაწერა განცხადება და ორივენი უბნის უფროსის, ვადაჭკორიას კაბინეტისაკენ გაეშურნენ.

ახალგაზრდა, ხმელ-ხმელი კაცი იყო უბნის უფროსი, განცხადება უმალ



მეხუთე შახტის უფროსი (მარჯვნიდან მეორე) მიხეილ სიმონიშვილი მოწინავე მუშებს შორის

ტყვარჩელის ერთი უბანი





მეხუთე შახტის ბრიგადირი ნოდარ იოსავა ოჯახში.

მეხუთე შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილე ნოდარ ვადაჭკორია



ჩაიკითხა და ნოდარს თვალებში ჩახედა.

— რა შეგიძლია გააკეთო?—ჰკითხა მან ჭაბუკს.

— სადაც მეტყვით, ყველგან ვიმუშავებ,—მიუგო ნოდარმა.

— ბულდოზერის მართვა შეგიძლია?

— შემიძლია. წიგნაკიც მაქვს — უპასუხა ნოდარმა.

— მაშ ბულდოზერზე იმუშავებ, სამშენებლო ადგილებია მოსასწორებელი—უთხრა უბნის უფროსმა.

აგუგუნდა ნოდარის ბულდოზერი, მთის კედლები ნაფლეთ-ნაფლეთად, ხრიალით ეშვებოდნენ ხევებში.

ნოდარი სამმაგად ასრულებდა დღიურ დავალებას.

ტყვარჩელის № 5 შახტში მუშაობდა ნოდარი, გამრჯე ჭაბუკმა მალე მიიქცია ყველას ყურადღება. იმ ხანებში ნოდარმა მშობლებს წერილი მისწერა და ყველაფერი შეატყობინა, რაც თავს გადახდა.

მალე გაზეთში დაიწერა ნოდარზე.

— კარგი ბიჭი დამდგარაო—თქვეს ხობში, სოფელშიც გაუხარდათ მისი წარმატება.

გრიგოლი კი ერთხანს წარბებშეკრული დადიოდა, უნდა ესწავლაო. ბოლოს, მაინც მოლბა მამის გული, ჯიბეში ფული ჩაიდო და ტყვარჩელის გზას დაადგა.

— ფული რად გინდოდა, მამა? მე თვითონ გაგატან აქედან, — უთხრა ნოდარმა გრიგოლს.

გულდაწყნარებული დაბრუნდა მამა შინ. ნოდარი კი ისევ შეეჭიდა მთებს.

„ტყვარჩელქვანახშირის“ კოლექტივმა ზეიმით აღნიშნა თხუთმეტი მაღაროს მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრება. მოწინავე მუშებს მადლობა გამოუცხადეს. მათ შორის იყო ნოდარ იოსავაც.

ახლა ბულდოზერი აღარ სჭირდება შახტს, მშენებელი მუშები მუხარადმაშუქებით მთის გულისაკენ მიიწევენ.

გამყვანი, მნგრეველი, მებიგე, — რამდენი სხვადასხვა პროფესიის მუშაა საჭირო. აირჩიე, რაც შენ გეხერხება და შეგიძლია.

ნოდარმა მებიგის პროფესია აირჩია.

ფანქრისებურად წათლილი უზარმაზარი ბოძები ვერტიკალურად ებჯინებიან ჭერს, ჭერსა და სამაგრ ბიგებს შორის ბრტყელი ფიცარია ამოდებული და უროს გარტყმისას უფრო და უფრო მიდის ბიგა მკვრივ წერტილამდე. ბიგას მხარში მეორე ბიგა ამოუდგება, ჭერის ჩამონგრევა უკვე შეუძლებელია, მნგრეველ-ამწმენდების მუშაობა უსაფრთხოა.

სადაც ნოდარია, იქ არაფრის შიში არ შეიძლება ჰქონდეს კაცს.

ნელ-ნელა მიდიოდა წლები.

— ნოდარ, ცოლს რატომ არ ირთავ?

— ასე როდემდის ივლი, ბიჭო? — ეკითხებოდნენ მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები.

ნოდარმა იცის თავისი საქმე, აუჩქარებლად არჩევს ცხოვრების თანამგზავრს.

და აი, ქორწილია ხობში.

ლხინი ხობში იწყება და ტყვარჩელში მთავრდება.

ნოდარი საკუთარი ჭერის პატრონია.

— ძეობისას არ დაგვივიწყო! — ეხუმრებიან ხობელი მაყრები ნეფეს.

ისევ ლხინია ნოდარ იოსავას ჭერქვეშ... ირწევა აკვანი.

ნოდარის გული სიხარულით არის სავსე. ახლა რაღა დაღლის, როცა გული ასე მხნეა და გალაღებული.

ღონიერია კაცის გული, ვერაფერი მას ვერ მოერევა, ეს მთებიც დაიმორჩილა მეშახტის მარჯვენამ,—ამაოდ აწვებიან ოსტატის ხელით დაყენებულ ბოძებს დასამტვრევად. შტრეკებსა და კვერშლაგებში უშიშრად დაალაჯებენ მუხარადიანი დევგმირები.

ასე მიდის დრო. მეჩვიდმეტე წელია, რაც ნოდარი შახტში მუშაობს, გული კი ისევ ჭაბუკივით უცემს, თუმცა მაშინდელი ხშირი ქოჩორი ოდნავ შესთხელებია, ცოტა გამოცვლილა უბნის უფროსი ვადაჭკორიაც, ის ახლა ხმელ-ხმელი ჭაბუკი კი არა, შუახანს მიღწეული კაცია. და ხანდახან გაიხსენებს ხოლმე როგორ მიილო უწვერულვაშო ჭაბუკი სამუშაოზე.

**იპოლიტე გამსახურდია**

ფოტო თ. არჩვაძისა

**ნოდარ ადეიშვილი**

# [illegible]

ამაღამ დიდი მთვარე იქნება.
ამაღამ,
სულაც არ შევალთ სახლში.
ნუ გეფიქრება,
ნუ გეფიქრება,
— სიცოცხლეს ნიშნავს ტირილი
ბავშვის.

გაივსო სული,
გაივსო ზეცა
მივიწყებული სიცილის ხმებით
და მინდა
თეთრი სამოსი გეცვას,
თავდებად ძალზე ლამაზი ხვედრის.

თითქოსდა ზღვაზე გალხვა ყინული
და აჭრიალდნენ სველი ანძები,
ვარ კმაყოფილი
და მხიარული
წავალ, —
მინდორში სადმე დავწვები;

რომ ამაღამდელ ცას და
ვარსკვლავებს
დავამახსოვრო
სახე,
თვალები
და ზრუნვით სავსე გულს ვერ
ვაკავებ
და ვსუნთქავ ჰაერს ამ ნეტარებით.

ის გაჩნდა,
იგი ხელს აფათურებს,
გადახდილია მამულის ვალი
და შენც დღეიდან
ხარ მონათლული
ყველაზე კარგი სახელით ქალის.

გავყურებ სივრცეს
და ფერებს ვარჩევ...
ერთდროს ქცეული ლოცვა-
ვედრებად
და ვფიქრობ შენზე,
შენზე და ბავშვზე
და ადრინდელზე ჩქარა თენდება.

თითქოს
ამივსეს სული და კოკა
იმ უკვდავების წყლით და
ზღაპარით,
მოვალ, წითელი მამალი მომყავს
და ჩემს სიხარულს ჰყივის მამალი.

და არ ჩამიქრო
დღეო ცისკარი,
რახან ისურვე,
რახან ინებე,
ვარ უკვდავების წყალზე მიმდგარი
და სული ცაში მიაქვს იმედებს.

# ერთი გამოუქვეყნებელი წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ რუს დრამატურგს ა. ნ. ოსტროვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის ქართველ მოღვაწეებთან. დრამატურგი, უეჭველია, კარგად იცნობდა გამოჩენილ ქართველ მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც შეხვდა საქართველოში თავისი ჩამოსვლის დროს. ამას გარდა, მეტად საინტერესოა ოსტროვსკის ახლო ურთიერთობა ლიტერატორ პავლე ივანეს ძე ანდრონიკოვთან, რომელიც 50-იანი წლების მეორე ნახევარში მუშაობდა „კოსტრომის საგუბერნიო უწყებების" არაოფიციალური ნაწილის რედაქტორად.

ანდრონიკაშვილების გვარი ჩვენში კარგად არის ცნობილი. XVIII საუკუნეში, კახეთის სამეფო კარზე მათ მაღალი თანამდებობები ეჭირათ და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პავლე ანდრონიკოვი იყო არა XVIII საუკუნეში საქართველოდან ვახტანგ მეექვსესთან ერთად წასული ქართველი ემიგრანტი ანდრონიკაშვილების შთამომავალი (მათი კვალი საერთოდ დაკარგულია), არამედ ვაჟი კაპიტან ივანე ანდრონიკაშვილისა, რომელიც 1818 წელს, მის სხვა თანამოგვარეებთან ერთად, გადასახლებულ იქნა რუსეთში კახეთის 1812 წლის ამბოხებაში მონაწილეობისათვის.

პ. ი. ანდრონიკაშვილი დაიბადა რუსეთში, იქ მიიღო აღზრდა-განათლება, მაგრამ მას არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა წარმოდგენა საქართველოზე, ქართულ კულტურაზე.

ა. ოსტროვსკიმ, რომელიც პ. ანდრონიკაშვილის ახლო ნაცნობი და ნათესავი იყო, რა თქმა უნდა, იცოდა მისი ქართული წარმოშობის შესახებ და მათი საუბრები არ შეიძლება საქართველოსაც არ შეხებოდა.

პ. ანდრონიკაშვილი ცხოვრობდა კოსტრომაში. ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გატაცებულმა, 50-60 წლებში, მან მოაწყო საკუთარი სტამბა და შეუდგა წიგნების ბეჭდვას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 50-იანი წლების მეორე ნახევარში იგი იყო „კოსტრომის საგუბერნიო უწყებების" არაოფიციალური გაზეთის რედაქტორიც. განსაკუთრებით ბევრ დროს ანდომებდა იგი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებას, სწავლობდა კოსტრომის გუბერნიის გლეხების ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს. 1876 წელს მან კოსტრომაში გამოსცა ლექსების კრებული, ხოლო 1888 წელს — სიმღერები „ივანანა".

პ. ანდრონიკაშვილი მთელ თავის მასალებს აცნობდა ოსტროვსკის და მისი აქტიური კორესპონდენტი იყო.

„თქვენი წერილი, მოკშანის ნახატთა და სხვა დანართებით, მივიღე კინეშმიდან ნიუნში გამგზავრების წინ, — სწერდა ა. ოსტროვსკი ანდრონიკაშვილს, — მსურდა მალე მეპასუხა თქვენთვის, მაგრამ ვერ მოვასწარი: ხან ამ მოგზაურობამ გადამიყოლა, ხან მისთვის მზადებამ. ახლა, მაქვს რა თავისუფალი წუთი, გაუწყებთ და მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის.

თქვენ დამპირდით გეცნობებინათ ჩემთვის ქალაქებისა და ზოგიერთი სოფლის (სოვდოგა, რეშმა, გოროდეცი და სხვ.) ისტორია. თუ თქვენ ახლა ამის შესახებ რაიმე მასალა გაქვთ, გთხოვთ გადმომიგზავნოთ; ამით და ყველა დანარჩენით, რასაც კი თქვენი შეხედულებისამებრ გადმომცემთ, დიდად დამავალებთ.

ჰქენით სიკეთე, თუ შემთხვევა მოგეცათ, ნახეთ სათევზაო ხელსაწყო „ოხანი" და მაცნობეთ: რამდენ რგოლიანია, რა სიგრძე-სიგანე აქვს დაჭიმვითა და დაუჭიმველად. ეს მე მჭირდება დეევის ქალაქში ნახულ ოხანთან შესადარებლად".

ოსტროვსკის არქივში ინახება ანდრონიკაშვილის მიერ გამოგზავნილი ბევრი ფოლკლორული მასალა, მათ შორის, 1858 წლის 14 იანვრით დათარიღებული „საქორწილო ჩვევები და სიმღერები სოფელ კოსტენევკაში", რუსული ხალხური ანეკდოტები, სხვადასხვა საქორწინო ადათ-ჩვევები, ჩაწერილი 1858 წელს და სხვ.

ანდრონიკაშვილი კეთილსინდისიერად ასრულებდა დრამატურგის ყველა დავალებას და მუდამ თავის დროზე უგზავნიდა მას საჭირო მასალებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანდრონიკაშვილის ფოლკლორული ჩანაწერები აღმოჩნდა ოსტროვსკის მასალებში, რომლებიც მან შეაგროვა 1856 წელს, „ლიტერატურული ექსპედიციის" დროს.

1878 წელს ა. ოსტროვსკი მიწერ-მოწერას აწარმოებდა ანდრონიკაშვილთან კოსტრომის სასამართლო ორგანოებში ბელიხოვას ანდერძის მოწესრიგების თაობაზე. ამ წერილებიდან ჩანს, რომ დიდი დრამატურგი ანდრონიკაშვილს თვლიდა თავის რწმუნებულად კოსტრომაში, და ანდობდა მას არა მარტო პირადულ, არამედ თეატრალურსა და ლიტერატურულ საქმეებსაც.

1877 წლის 13 ივნისს ა. ოსტროვსკი სწერდა ვ. ი. როდისლავსკის, რუსი დრამატული მწერლების საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელს იმის შესახებ, რომ მისი დავალება შესრულებულია და რომ მან, ოსტროვსკიმ, „ჩამოსვლისთანავე მისწერა ანდრონიკოვს ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო".

სამწუხაროდ, ეს წერილი არ არის აღმოჩენილი. ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, რა საქმე უნდა გაეკეთებინა პ. ანდრონიკოვს კოსტრომაში ოსტროვსკის დავალებით. სავარაუდოა, რომ აქ ლაპარაკია რუსი დრამატული მწერლების საზოგადოების რომელიღაც კონფლიქტზე კოსტრომის თეატრის ანტრეპრენიორთან. ამ საზოგადოების წევრების პიესების დადგმის წესების დარღვევის გამო.

ინტერესსმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ანდრონიკაშვილთან, როგორც ახლობელ ადამიანთან, დაკავშირებული იყო არა მარტო ოსტროვსკი, არამედ მთელი მისი ოჯახი და უმცროსი ძმები.

ა. ოსტროვსკის სიკვდილის შემდეგ, ანდრონიკაშვილს ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა საქმეების თაობაზე დრამატურგის მეუღლე მ. ვ. ოსტროვსკაია, დაი მ. ნ. ოსტროვსკაია, ძმები —ანდრეი, პეტრე და პავლე ოსტროვსკები.

ამ წერილებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ანდრეი ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის წერილები. 70—80-იან წლებში იგი ცხოვრობდა ქ. ყაზანში და იქ ეწეოდა მეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. მუშაობდა რა XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიის შექმნაზე, მან რამდენჯერმე მიმართა დახმარებისათვის ანდრონიკაშვილს:

„დიდი ხნის გასვლის შემდეგ, —სწერდა ა. ოსტროვსკი ანდრონიკაშვილს 1885 წლის აპრილში, —იძულებული ვარ გაგახსენოთ ჩემი თავი. შეიძლება ამ წერილით ცოტა უხერხულ მდგომარეობაში გაგდებთ. წინდაწინ ვიხდი ბოდიშს, მაგრამ მე თქვენს გარდა ვერავის მივმართავ, ვინაიდან თქვენ ხართ ჩემთვის ცნობილი ერთ-ერთი წარმომადგენელი კოსტრომის ინტელიგენციისა.

საქმე შემდეგშია: მე ვეწევი მე-18 საუკუნის რუსული ლიტერატურის გამოკვლევას; სხვათა შორის, მე ძალიან მაინტერესებს ყველაფერი რაც პროვინციალურ გამომცემლობებსა და სტამბებს ეხება. თუ არის სადმე დაბეჭდილი მითითებანი 80—90-იანი წლების კოსტრომის სტამბებისა და იქ გამოცემულ ნაწარმოებების შესახებ? ჩემთვის ცნობილია მარტო ვიღაც ნ. ს-ს თავისუფალი სტამბა, რომელმაც მუშაობა, მგონი, 1794 წელს დაიწყო. შეიძლება თუ არა შევისყიდო კოსტრომაში 1801 წლამდე გამოცემული წიგნები? ბიბლიოგრაფიული ცნობარის მიხედვით ცნობილია ათამდე ასეთი წიგნი.

მე დიდად მადლობელი ვიქნები თქვენი, თქვენს მიერ მოწოდებული ყოველგვარი განმარტებისათვის, შესაძლებელია ყველაფერი ეს სადმეა დაბეჭდილი, მაგრამ აქ, ყაზანში ერთი სტრიქონიც ვერ ვიპოვნე კოსტრომაზე.

ნება მომეცით გადმოგცეთ ჩემს მიერ ამახწინათ გამოცემული წიგნაკი. აქედან თქვენ მიხვდებით, თუ რა რთული, დაწვრილებითი გამოკვლევები გვიხდება ზოგჯერ, დაბეჭდილი წიგნების განხილვის დროსაც კი.

ხომ არ შეგიძლიათ შემატყობინოთ — მოსკოვის რომელ მაღაზიებში იყიდება თქვენს მიერ შედგენილი ისტორიული ჩანაწერი კოსტრომის სასულიერო სემინარიის შესახებ.

თქვენი პატივისმცემელი და ერთგული ანდრეი ოსტროვსკი".

როგორც შემდგომი მიწერ-მოწერიდან ჩანს, ანდრეი ოსტროვსკიმ ანდრონიკაშვილისაგან ძვირფასი მასალები მიიღო.

საინტერესოა, რომ ანდრონიკაშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ანდრეი ოსტროვსკი, იგონებს რა კოსტრომის გუბერნიაში გატარებულ თავის ბავშვობას, სიამოვნებით იხსენებს იმ დღეებს, როცა მისი ბიძა პავლე ოსტროვსკი, ანდრონიკაშვილთან ერთად, ესტუმრებოდა ხოლმე მათ სოფელში.

ამგვარად, დიდი დრამატურგისა და მისი ოჯახის წევრების მთელი მიმოწერა პ. ი. ანდრონიკაშვილთან ლაპარაკობს მათ ახლო პირადულ და მეცნიერულ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე.

გიორგი ტალიაშვილი



საფრენად გამზადებულ ჰიდროთვითმფრინავს თითი წაუბიძგა, მსაჯებმა არ ჩათვალეს ეს რეკორდი, მაგრამ ნორჩი ავიამოდელისტის წარმატება მაინც სასიხარულო იყო.

შეჯიბრების მონაწილეები, მსაჯები, სტუმრები, თაიგულებით ხელში ეხვეოდნენ საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წარგზავნილს და გულწრფელად ულოცავდნენ საუკეთესო ჰიდროთვითმფრინავის მოდელის შექმნას.

* * *

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუზეუმში ვართ.

გულდასმით ვათვალიერებთ ექსპონატებს. სადგურის დირექტორი გიორგი ეპიტაშვილი დაწვრილებით გვიხსნის თუ რამდენი დრო, ფიქრი და ენერგია დაიხარჯა მათ შექმნაზე.

ერთ-ერთი ექსპონატი ყურძნის მტევნის საჭრელი მაკრატელი გახლავთ. აიღებთ ამ მაკრატელს, გაუყრით თითებს, ყურძნის მტევნის მოსაჭრელად გაიწვდით ხელს და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მოჭრილი მტევანი ისევ მაკრატლის წვერზე შერჩება.

ორიგინალური მაკრატლის კონსტრუქცია იმგვარად არის გააზრებული, რომ იგი დაუბრკოლებლად ჭრის ყურძნის მტევანს, მოჭრილ მტევანს კი რამდენი ხანიც გნებავთ, იმდენ ხანს იკავებს დაკბილული პირით.

ყურძნის საჭრელმა მაკრატელმა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. სპეციალისტები წერდნენ, რომ მას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ურიგო არ იქნება თუ წარმოებაში დავნერგავთო.

თვითმფრინავი საცაა აფრინდება



რადიოლაბორატორია. მეცადინეობის საათები

ტელევიზორის აწყობის დრო

დურგლობიდან კიბერნეტიკამდე! — შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ გზას, რომელიც საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა გაიარა.

მართლაც, 1929 წელს, როცა ბავშვთა საქალაქო ტექნიკური სადგური დაარსდა, აქ მხოლოდ ორი — სადურგლო და ფოტმოყვარულთა წრე არსებობდა.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ახლა 100-მდე წრეა. 1500-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს ქიმიის, ფიზიკის, ასტრონომიის, მექანიკის, გემთმშენებლობის, კიბერნეტიკისა და სხვა წრეების ლაბორატორიებში.

საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური 1954 წლიდან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუდმივი მონაწილეა. ნორჩმა ტექნიკოსებმა თავიანთი ნამუშევრებით მთელ კავშირში გაითქვეს სახელი და მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

* * *

ზაფხული იყო. მოსკოვის მახლობლად, ქალაქ პოდოლსკში, ნორჩ ავიამოდელისტთა საკავშირო შეჯიბრება მიმდინარეობდა.

შეჯიბრება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მთავარმა მსაჯმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა კამანინმა ნიშანი მისცა, რომ საქართველოს წარმომადგენელი სასტარტო ბილიკზე გამოსულიყო.

ნორჩ ავიამოდელისტთა ჯგუფს თბილისის მეხუთე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე კოტე კოჩუაშვილი გამოეყო. აღელვებულმა ბიჭუნამ სწრაფად ჩართო თავისი ჰიდროთვითმფრინავის ძრავა, ძაფი მოაცილა სტარტის რგოლს და გასაფრენად გამზადებულ მოდელს ოდნავ წაუბიძგა თითი.

ჰიდროთვითმფრინავი ადგილიდან მოწყდა, სიმაღლე აიღო და მოხდენილად გასრიალდა ცაში.

შიდაწვის ძრავაზე მომუშავე ჰიდროთვითმფრინავი ისე სწრაფად, ლამაზად და დაჯერებით მიფრინავდა, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილის ყურადღება მიიპყრო. საკომანდო პუნქტიდან ბრძანება გასცეს, რომ თვალყური ედევნებინათ მოდელისათვის.

კოჩუაშვილის ჰიდროთვითმფრინავმა დაუბრკოლებლად გადაუფრინა მოსკოვს, კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრი გაიფრინა და ნელ-ნელა უვნებლად დაეშვა მიწაზე.

ეს მსოფლიო რეკორდი იყო! მართალია, იმის გამო, რომ კოტემ სტარტის წესი დაარღვია და გა-

მართლაც, თბილისელი მოსწავლის ვანო იმედაშვილის ხელით დამზადებულ მაკრატელს ცოტა დახმარება როდი შეეძლო გაეწია ცალხელა ადამიანებისათვის, ანდა თუნდაც იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მაღლარ ვაზზე ყურძენს კრეფენ და იძულებულნი არიან ცალი ხელით ხის ტოტს ანდა კიბის კიდეს ჩაეჭიდნენ.

ასე იყო თუ ისე, სურვილი სურვილად დარჩა, ეს მაკრატელი ისევ მუზეუმში ინახება; ვანო იმედაშვილი კი, რომელმაც მაკრატლის შექმნისათვის მოსკოვიდან ველოსიპედი მიიღო საჩუქრად, იმ დღის შემდეგ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ფეხით მოსული აღარავის დაუნახავს.

ერთ დღეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ელვა დეპეშა მოვიდა: „ნება მოგვეცით რადიომიმღები განის დელეგაციას გადავცეთ საჩუქრად".

როგორც შემდეგ გამოირკვა, მოსკოვში მოწვეულ განის დელეგაციას თურმე გულდასმით დაუთვალიერებია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები.

საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუდმივ სტენდებზე მათ ყურადღება მიუქცევიათ ჯიბის რადიომიმღებისათვის, რომელიც

# ელექტრონიკიდან კიბერნეტიკამდე

თავისი სილამაზით, სადა ფორმითა და მოხერხებულობით მართლაც რომ შორიდანვე იტაცებდა ადამიანის თვალს.

გაუგიათ თუ არა დელეგაციის წევრებს რომ ეს ექსპონატი ქართველი პიონერის ხელით იყო დამზადებული, მაშინვე მობოდიშებით მოუთხოვიათ, ნება მოგვეცით ეს რადიომიმღები ქართველი პიონერების სახელით განელ ბავშებს გადავცეთ საჩუქრადო.

მობოდიშება რა მოსატანი იყო! მეშვიდე კლასის მოსწავლემ ჰენრი ზაუტაშვილმა, რომელმაც ვინ იცის რამდენი უძილო ღამე გაატარა კომპაქტური რადიომიმღების დამზადებაზე, ამ თხოვნაზე მაშინვე თანხმობა განაცხადა.

**ო. ინასარიძე**

ელექტრომაგნიტურ კოჭაზე მუშაობა



ტრანსპორტის ლაბორატორიაა







**ნოდარ წულეისკირი**

## მცხეთა

სვეტიცხოველი!...
რამ აანთო
ასე ღიმილით,
მე მეჩვენება,
თუ მიმზერენ
მწვანე ტევრები,
სვეტიცხოველი —
სინათლეა
მარადიული
და მტკვრის
ტალღები
მოშრიალე
ღამისმთევლები!
მცხეთა,
თოვლივით ანთებული,
თეთრი სადგური,
მცხეთა — ქცეული
ჩანჩქერებად,
მზედ
და მორევად.
მცხეთა
ვარდებით,
მტკვრის ტალღებით
მთლად დახატული,
მცხეთა,
პირთეთრი
იღიმება როგორც
შორენა.
ო, რამ ამანთო,
რამ გამათბო
ასე ღიმილით,
მე მეჩვენება,
თუ მიმზერენ
მწვანე ტევრები,
სვეტიცხოველი სინათლეა
მარადიული
და მტკვრის ტალღები —
მოშრიალე
ღამისმთევლები.

## ალაზანთან

ახალ ნერგებში,
ქორფა ბალახში,
სუნთქვა წყდება და
სუნთქვა ხშირდება,
ო, რა კარგია
როცა ყანაში
ცისარტყელები
გადაბრწყინდება.
ახალ ნერგებში
სიო თამაშობს,
როგორც მღიმარი
მიწის ოცნება,
ილიას გულით,
ილიას სუნთქვით
ქართული მიწა
დაიკოცნება...

ჩვენ საოცარი
სიზმარიც გვავსებს
და საოცარი
ზღაპრის შრიალი,
გრილ ალაზანთან,
კახეთში ვაზებს
მონატრებიათ
ურმის ჭრიალი...
ეს საოცარი
სიცოცხლეც არის!
ეს გათენების,
ცისკრის ღიმია!
ტალღებმა დაჰკრეს
ალაზანს ზარი,
აქ სიტყვას ამბობს
ბრძენი ილია!..



## კორნელი კეკელიძის ძეგლი

თბილისის უნივერსიტეტის ეზო. შედიხარ ბაღში და არ შეიძლება არ შეჩერდე იმ ადამიანთა ძეგლების წინაშე, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ უნივერსიტეტს — აქ თქვენ ხედავთ ილია ჭავჭავაძის, პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილის ძეგლებს.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, დიდი მეცნიერი და მოღვაწე კორნელი კეკელიძე ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ამას წინათ უნივერსიტეტის ბაღში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ისინი მოვიდნენ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა კორნელი კეკელიძის ძეგლის გახსნას.

ძეგლს ავტორები არიან მოქანდაკე გ. ოჩიაური და არქიტექტორი რ. კიკნაძე.

## საჩუქარი ზეციდან

ყველამ იცის, რომ იტალია ველოსიპედების ქვეყანაა. ცამეტი წლის გოგონას კონჩეტა პერის ოცნებაც ველოსიპედი იყო. დიდხანს იდგა ხოლმე ქუჩაში კონჩეტა და გასცქეროდა თავის ამხანაგებს, რომლებიც საუკეთესო მანქანებით დაჰქროდნენ. გოგონას მამა არ ჰყავს, დედა კი იმდენად მცირე ფულს იღებს, რომ ძლივს კვებავს და აცმევს თავის 'ამ ბავშვს. ამ სიღარიბის მიუხედავად, კონჩეტა მაინც განაგრძობდა ოცნებას ველოსიპედზე. ერთხელ, როცა დედამ მას სადღესასწაულოდ მცირეოდენი ფული მისცა, კონჩეტამ საჰაერო ბუშტი იყიდა, ზედ მიამაგრა ბარათი, რომელშიც აღწერილი იყო თუ როგორ ენატრება მას ველოსიპედი. თავისი მისამართიც მიაწერა და ბუშტი ჰაერში აუშვა.

უნგრეთის სოფლის ბაიას მკვიდრნი ძალიან გაოცდნენ, როცა მათი სოფლის მახლობლად, მინდორზე დიდი წითელი ბუშტი დაეშვა. მალე ბუშტს გამობმული წერილიც იპოვნეს, მოძებნეს მთარგმნელი, წაიკითხეს ბარათი და ერთხმად გადაწყვიტეს: კონჩეტას უნდა ჰქონდეს ველოსიპედი! შეაგროვეს ფული, იყიდეს საბავშვო ველოსიპედი და საჩუქარი იტალიაში გაგზავნეს.

კონჩეტასათვის ეს საჩუქარი ყველაზე ძვირფასი რამ იყო ქვეყანაზე.

ჟურნალი „სეტიმო ჯორნო“ (იტალია).



## მდინარე ხრამთან

ანდრო ლომიძე

მწერალს, მეგობარს, მონადირეს —
სოსო იორამაშვილს.

ნაშუადამევს ჩვენი მსუბუქი მანქანა მდინარე ხრამთან, ჭალაში გაჩერდა.

—აბა, გადმობრძანდით! — ღიმილით მოგვმართა მე და შალვას პირსავსე ლამაზმა ვაჟკაცმა სოსო იორამაშვილმა.

იქვე, მუხის ძირას ჭილობი გავშალეთ, ზედ სამივე მივწექით. ჩქარა ჩაგვეძინა.

როცა თვალები გავახილე, ვარსკვლავები აქა-იქ ქრებოდა, სინათლე, როგორც დიდი სიხარული, ეფინებოდა ლაჟვარდს, დედამიწას, იისფერი ვარსკვლავებით სავსე ჩემს უსაზღვრო სულს.

შალვა და სოსო ტკბილად ხვრინავდნენ.

ბარდნალისაკენ გავემართე. უძილობისაგან თვალები მეწვოდა.

სამი მამალი ხოხობი ერთად აიჭრა ცაზე და მზის შუქზე ოქროსფრად, ლილისფრად აინთო. ვესროლე. სამივე გაფრინდა. გულდაწყვეტილს მცირე ხნის შემდეგ კვლავ ამომიფრინდა ხოხობი. მიზანში კარგად ამოვიღე, იგრიალა თოფმა და ხოხობი ბარდზე დაეცა. გავიქეცი, ეკლიან ბარდს ახლოს ვერ მივუდექი. ხოხობი შიგ ჩაძვრა და გაუჩინარდა.

ამ დროს ჩემს მახლობლად რამდენჯერმე გავარდა თოფი.

— ფიდო! — შემომესმა.

— რა გინდა?

— აქ მო, ჩქარა.

შალვასკენ გავუხვიე.

— სადა ხარ, ბიჭო? ხოხბებს ვესროლე და დავაცილე.

— აღელდი და ამის გამო დააცილე, — დავამშვიდე შალვა.

— უთუოდ ავღელდი, აბა, რა დამემართა.

— აღელვების ჟამს მეც შენებრ დამიცილებია, ამან გული როდი უნდა გაგიტეხოს.

— ნეტავი ჩემთან ყოფილიყავ! რამდენი ხოხობი იყო. კი არ ეშინოდათ, ქათმებივით გარბოდნენ. ჩემი პოინტერი გაუწრთვნელია, ვერაფერში დამეხმარა.

ნადირობის დროს შალვასთან ახლოს ყოფნა ერთობ საშიში იყო, მწყერს კარგად ხედავდა, იქვე მდგომ მონადირეს კი ვერ ამჩნევდა. ერთხელ კინაღამ მზე დამიბნელა. მას შემდეგ ფრთხილად ვიყავი, სამასიოდე ნაბიჯით დავშორდებოდი ხოლმე შალვას და მერე ვნადირობდი. შალვას ეს არ მოსწონდა. ეტყობოდა, ახლაც ნაწყენი იყო, მაგრამ საყვედური არ უთქვამს, გრძნობდა თავის ნაკლს.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და ხოხობი შხუილით ამოვარდა. დინჯად, აუჩქარებლად დავუმიზნე და ვესროლე. ხოხობი იქვე თამბაქოში ჩავარდა.

ერთი საათის განმავლობაში სამი ხოხობი დაგროვდა ჩემს ჩანთაში. შალვამ მხოლოდ ერთი მოკლა.

— წავიდეთ, ვისაუზმოთ, სოსო თევზს იჭერს და ხარშავს.

— წავიდეთ, — ვუპასუხე.

* * *

სოსო თევზს ქვაბში ჰყრიდა. ფეხის ხმა გაიგონა, შემოტრიალდა და მკითხა:

— ცარიელი ხომ არ მოსულხარ?

— სამი ხოხობი მომაქვს.

— შალვას?

— ერთი, — მიუგო შალვამ.

— ძაღლი როგორ ეძებს?

შალვამ სიყვარულით დახედა ენაგადმოგდებულ, დაღლილ პოინტერს და თქვა:

— ლეკვია, ცხარობს, ყნოსვა კარგი აქვს.

მე და შალვამ ვისაუზმეთ და ისევ ბარდნალს დავუბრუნდით. შალვა ბარდნალიდან თამბაქოში შევიდა და თვალთაგან დამეკარგა.

ბევრი ვიარე, ხოხობი ვეღარ ვნახე. შალვას თოფის გრიალი ხშირად მესმოდა.

ჩამოცხა. გაოფლთანებული, ქანცმილეული ბარდნალში ძლივს მივაბიჯებდი. ძილი მომერია და სოსოსკენ გავწიე. სოსოს ეძინა. წამოვწექი. ამ დროს ბარდებიდან გამოვიდა შალვა, იგი შეწუხებული იყო.

— ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვა? — ვკითხე.

— თოფი გამივარდა, ძაღლი მოვკალი... ახლაც ავჩქარდი და ხოხბის ნაცვლად ჩემი საყვარელი მეგობარი შემომაკვდა.

სოსომ თავი წამოჰყო და ნამძინარევი თვალებით შალვას მიაჩერდა:

— რაო, ძაღლი მოჰკალი?

— მოვკალი... თოფი გამივარდა, — თქვა შალვამ და ამოიოხრა.

მუხის ფესვზე თავი მივდე თუ არა, ჩამეძინა.

* * *

სოსომ გამომაღვიძა.

— შინ დაბრუნების დროა, ადექი.

— შალვა სად არის? — ვკითხე და დავამთქნარე.

— ბარდნალშია, ხმას არ იღებს, წადი ნახე — რას აკეთებს. სულ მეღრიჯება სანადიროდ წამიყვანეო, რა ვქნა, უარი ვერ მითქვამს, თუმცა მეშინია არ მომკლას, ნამეტანი ფიცხია.

ბარდნალში გარინდებულ, თვალცრემლიან შალვას ფეხებთან მკვდარი პოინტერი ეგდო. ძაღლს ლურჯზურგიანი ბუზები ესეოდნენ, ბზუოდნენ.

გამოვბრუნდი და სოსოს მოვახსენე:

— ძაღლს ეთხოვება.

# პაატა გუგუშვილი

დაბადებიდან 60 წლისთავის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონსტანტინე გამსახურდია**



ტფილისის უნივერსიტეტში პაატა გუგუშვილი მეთხედი საუკუნის მანძილზე კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის, ტექნიკისა და უმთავრესად სახალხო მეურნეობის საყოველთაო ისტორიის კურსებს. ამ პრობლემებზე მუშაობის შედეგი გამოვლინდა არა მხოლოდ სამეცნიერო დისციპლინათა ამ დარგებში სამოცზე მეტი ნაშრომის გამოცემით ქართული მეცნიერული ლიტერატურის გასამდიდრებლად, არამედ, მე ვიტყოდი, უმთავრესად იმ მხრივ, რომ სწორედ ამ მიმართულებით წარმოებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ მას შეაძლებინა საკუთრად საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა სამეურნეო განვითარების პრობლემები შეესწავლა და გაეშუქებინა ფართო სოციოლოგიურ ასპექტში, ე. ი. მსოფლიო ცივილიზაციის ფონზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის მკვლევარის წიგნები, ეკონომისტი იქნება ის თუ ისტორიკოსი, ფილოსოფოსი თუ ლიტერატურათმცოდნე — თუ მას არა აქვს ფართო სოციოლოგიური განათლება, თუ ის საფუძვლიანად არ იცნობს მსოფლიო კულტურის სათანადო დარგებს და მაღალი ცნობიერების პოზიციებიდან არ აშუქებს ცალკე ეროვნული კულტურის საკითხებს, — დარჩება მარტოოდენ ჩხირკედელაობად, გახუნებულ პოლიგრაფიულ ნაკეთობად, რომლის კითხვა მხოლოდ რედაქტორისა და კორექტორების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით თავდება.

არა ერთ მეცნიერ მუშაკს ვიცნობ, რომელთა ნაწერები 3-5 წლის მანძილზე, ზოგიც უფრო ადრე, კარგავენ ყოველგვარ მიმზიდველობას და მალე ბიბლიოთეკებიდან გააქვთ როგორც... მაკულატურა. პაატა გუგუშვილის მიერ 25-30 წლის წინათ დაწერილი გამოკვლევები კი დღეს ახალი გამოცემების სახით იბეჭდება და ყოველთვის დიდი ინტერესით იკითხება.

პირადად მე, როგორც მწერალს, როგორც ჩვენი საზოგადოების წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ მემატიანეს, ჩემს შემოქმედებით მუშაობაში არაერთგზის გამომიყენებია პაატა გუგუშვილის გამოკვლევები.

მე დაუცხრომელი მკითხველი გახლავართ ხალხთა საზოგადოებრივი და მორალური ყოფიერების პრობლემებზე დაწერილი მონოგრაფიებისა, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების — სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, არქიტექტურის, ვაჭრობისა და სხვა საკითხებზე. მ. ბროსეს, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევებთან ერთად ბევრი რამ ჩემთვის საინტერესო წამიკითხავს პაატა გუგუშვილის მონოგრაფიებშიც. ეს მონოგრაფიები გამომდგომია მე, მაგალითად, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ და „ვაზის ყვავილობის“ წერის დროს.

სავსებით სამართლიანად წერს პროფ. ნ. იაშვილი, რომ პ. გუგუშვილის მონოგრაფიები, მაგალითად, მევენახეობისა და მეღვინეობის ეკონომიკის საკითხებზე ისეთი ღრმამეცნიერული გამოკვლევებია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ამ დარგის ვერც ერთი მკვლევარიო; აქ მე მინდა დავსძინო, რომ მის მონოგრაფიებს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მწერალი, რომელიც შეეცდება ასახოს შესაბამისი ეპოქების საქართველოს სოციალური ყოფიერების, მატერიალური კულტურის, მეურნეობათა დარგების, სამეცნიერო ჩვევებისა და თაოსნობის, კლასთა ბრძოლების, საერთოდჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობა.

პაატა გუგუშვილის კალამს ეკუთვნის ორასამდე გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლებიც, მართალია, უმთავრესად თანამედროვე ეკონომიური მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ პრობლემებს შეეხებიან, მაგრამ იგი ამასთანავე ავტორია საფუძვლიანი გამოკვლევებისა ისტორიის, სოციოლოგიის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების, ჟურნალისტიკის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების (საკუთრად ტერმინოლოგიისა) და სხვათა საკითხებზე — უმთავრესად ქართველოლოგიის განხრით.

გამოკვლევების საგნად აღებული პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის ნიმუში მან ჯერ კიდევ თავის სტუდენტობის წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ პირველ წიგნში უჩვენა, რომლის წინასიტყვაობაში უაღრესად მომთხოვნი მეცნიერი პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს: „...ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის მოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველად ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“.

ჩვენის მხრივ, ვფიქრობთ, საკმარისია ითქვას, რომ ეს სიტყვები დაიწერა 1929 წელს — ტფილისის უნივერსიტეტის III-IV კურსის სტუდენტის მიერ სემინარული გამოკვლევის სახით დაწერილ ნაშრომზე, რომელიც ქართული სტამბის 300 წლისთავის აღსანიშნავად კიდევაც დაბეჭდა სახელმწიფო გამომცემლობამ.

ტფილისის უნივერსიტეტში, 1940 წელს, მე ვესწრებოდი პ. გუგუშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვას, სადაც პირველმა ოფიციალურმა ოპონენტმა, ქართული მეცნიერების მნათობმა ივანე ჯავახიშვილმა თავის რეცენზიაში განაცხადა, რომ პაატა გუგუშვილმა უკვე სადოქტორო დისერტაციის წარმოდგენამდე გამოქვეყნებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა ისტორიული და ეკონომიური ლიტერატურა და დისერტაცია მხოლოდ ერთ-ერთი დადასტურებაა ახალგაზრდა მკვლევარის მიერ დიდძალი ლიტერატურული და არქივის მასალების შესწავლის და მათი მეცნიერული ანალიზის ძლიერი ნიჭის გამოვლინებისო.

თავისი შესანიშნავი მასწავლებლის ამ აზრის განმარტებას წარმოადგენს მისი ყოველი ახალი გამოკვლევის გამოსვლა.

პ. გუგუშვილის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი რუსული წიგნის („მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, ტ. I) რეცენზენტი, პროფ. ა. პოდკოლზინი წერს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ფართოდ გამოყენებასთან ერთად „ავტორი იყენებს უმდიდრეს ფაქტიურ მასალას მრავალი საარქივო ფონდებისა და ნაკლებად ცნობილ ლიტერატურულ წყაროებს, დაწყებული ძველქართველი და ძველი უცხოელი ავტორებითა და დამთავრებული ისტორიულ-ეკონომიური ლიტერატურის თანამედროვე წარმომადგენლებით. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ პირველი ტომი შეიცავს ათასზე მეტ ლიტერატურულ და საარქივო წყაროზე მითითებას“ (იხ. ჟურნ. „ეკონომიჩესკიე ნაუკი“, 1959 წ. № 2.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსული გამოცემა, რასაც პროფ. პოდკოლზინი ასე მაღალ შეფასებას აძლევს, მხოლოდ შემოკლებული თარგმანია.

ხსენებულ რუსულ წიგნში შესული ოთხი გამოკვლევიდან სამი, სწორედ მონოგრაფიათა კრებულის მეხუთე ტომშია (648 გვ.) მოთავსებული, მაგრამ მთლიანი სახით, შეუმოკლებლად. მე ვაანგარიშებინე და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეს ნაწილი შეიცავს 1.100-მდე მითითებას ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებული ლიტერატურული და საარქივო მასალისა.

• • •

როგორც მწერლის, ისე მეცნიერის შემოქმედებაში უდიდეს როლს თამაშობს ტემის, ე. ი. კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის მომენტი. ეს, ასე ვთქვათ ისაა, რასაც სკულპტორისათვის წარმოადგენს მასალა, რისგანაც ის ქანდაკებას აკეთებს. საუკეთესო მოქანდაკის მიერ გამოძერწილი შედევრიც მალე ილუპება, თუ ის ფხვიერი ქვისაგან, საერთოდ არაგამძლე მასალისგანაა გაკეთებული.

პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების ტემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებისაგან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებული. ის არასოდეს არ მისულა სხვასთან ტემის შერჩევის შესახებ სათხოვნელად.

მე ვიცი, თვით პაატასგან მომისმენია, რომ მას ჯერ კიდევ ათიოდე წლისას სოფელში, გულვიკარის თემში (ლანჩხუთის რაიონი), სადაც მამამისი, ბესარიონი, დიდხანს იყო მამასახლისად, სასოფლო კრებაზე ხშირად უნახავს იჯარით აღებული მიწების გარშემო ცხარე შეხლა-შემოხლა. ერთხელ მამასახლისი სასწრაფოდ გაიწვიეს მემამულე დიდიას ანჯელში, სადაც სიმინდის თესვის დროს საყანე მიწის მიჯნის გადაწევის გამო სისხლისმღვრელი შეტაკება მომხდარა.

ბავშვმა აქ იხილა შემაზრზენი სანახაობა: რამდენიმე თავპირდამტვრეული გლეხი, ერთიც მძიმედ დაჭრილი სისხლსა და ტალახში ამოთხუპნული მოხნულ მიწაზე იწვა.

ერთი კვირის შემდეგ ამ კაცს ასაფლავებდნენ. კუბო საფლავში ჩაუშვეს. უკანასკნელი გამოთხოვებისათვის მისულნი ხელში მიწას იღებდნენ და კუბოს ზედ აყრიდნენ: „მიწა იყავ, მიწად იქეციო“. მიწის მსხვერპლი მიწიერი ყოფილა, მიწადვე უნდა გადაიქცეს...

არ გასულა რამდენიმე დღე და გაზეთ „სახალხო ფურცელში“, რასაც მამა იწერდა, ბავშვი გაოცებული კითხულობს ფელეტონს გორის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, სწორედ საყანე მიწის მიჯნის გადაწევის თაობაზე ატეხილ ჩხუბში რამდენიმე კაცის დასახიჩრების შესახებ.

ამ ამბებს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. თურმე გლეხები ყველგან შევიწროებულნი არიან მცირემიწიანობით, უმიწობით, რადგან მიწების დიდი ნაწილი სახელმწიფოსა და მემამულეთა საკუთრება იყო. ეს ამბები, როგორც თვითონ არაერთგზის უთქვამს, თვალწინ ედგა მას მაშინაც, როდესაც სამიოდ-ოთხიოდე ათეული წლის შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ურთულეს მოვლენათა კვლევა-ძიებით ამ ქვეყნების საბჭოთამდელი პერიოდის ეკონომიური სტრუქტურის პრობლემებს აშუქებდა.

აგრარულ ურთიერთობათა და სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი პაატა გუგუშვილის გამოკვლევების დიდი ნაწილი შესულია მისი მონოგრაფიების მეორე და მესამე ტომებში, რომელთა მოცულობა 1.800 გვერდს აღემატება. ესაა, ასე ვთქვათ, ანატომია იმდროინდელი მრავალტანჯული საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სოფლების ცხოვრებისა. აქ დიდის გულმოდგინებითა და დეტალურად შესწავლილი და გაშუქებულია უშუალო მწარმოებელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის, გლეხობის ძირითადი მასების მთელი დუხჭირი ეკონომიური ყოფიერება და ამ ფონზე თვით უფლებრივი და მორალური მდგომარეობა მემამულეთა, ვაჭარ-მევახშეთა, ეკლესიისა და დიდმპყრობელობის უხეში და ვერაგი ბიუროკრატიის კლანჭებში უმწეოდ მგმინავი სოფლის მოსახლეობისა.

პ. გუგუშვილს არ დაუბეჭდავს არც ერთი გამოკვლევა, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოხმაურება არ გამოეწვიოს როგორც მეცნიერთა წრეში, ისე მკითხველთა ფართო მასებში, რომელსაც თავისი წარუშლელი კვალი არ გაევლოს შესაბამისი პრობლემის შესწავლის დარგში.

ანატოლ ფრანსი ამბობს: საუკეთესონი არიან ის წიგნები, რომლებიც ყველაზე მეტ საზრდოს იძლევიან მჭერმეტყველებისა და აზრთა ჭიდილისათვისო.

მე დავსწრებივარ ფრიად ცხარე და დიდხნობით გაგრძელებულ დისკუსიებს პაატა გუგუშვილის წიგნების გარშემო. მარტივად მოაზროვნე ადამიანისათვის, ხშირად თვით მეცნიერისთვისაც ძნელია ახალი აზრების, ახალი მიღწევების, მოვლენების დიფერენციული ჭვრეტისა და გაგების დროული აღქმა. ხშირად მოწინააღმდეგენი რიცხობრივად ბევრი ყოფილან, ხოლო მხარისდამჭერნი ცოტანი, მაგრამ იგი ყოველთვის თავის სიმაღლეზე მდგარა — მეცნიერებაში ახალი აზრების შემოტანისა და დანერგვისათვის, მაღალი მომთხოვნელობის დამკვიდრებისათვის, ცრუმეცნიერთა მხილებისათვის, ძველ და დრომოჭმულ შეხედულებათა უარყოფისათვის ბრძოლებში, მიუხედავად იმისა, ვინც უნდა ყოფილიყო და რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ჩამორჩენილობისა და რუტინიზმის დამცველი.

როგორც მწერლობაში, ისე მეცნიერებაშიც ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი ათასებზე მეტს აკეთებს და მარტოოდენ მოჭარბებულ სიმრავლეზე მინდობილთა იმედები ფიასკოს განიცდიან, ისე რომ ისინი თავიანთი უმწეობის გამოჩენითაც უიმედოდ ნადგურდებიან. ზოგიერთი მათგანის სახელები თუ შერჩება ლიტერატურის ისტორიას, უმთავრესად იმით, რომ ისინი ამა თუ იმ დიდ მწერლის, თუ მეცნიერის წინააღმდეგ რაიმე ცილისმწამებლური ბრალდებისა თუ მონაჭორთა გამავრცელებლების არასასახელო როლში გამოსულან.

ისიც უნდა აღინიშნოს, კლოდ ჰელვეციუსის თქმისა არ იყოს, რომ უმეცრებისა და ჩამორჩენილობის მფარველები კაცობრიობის ყველაზე დაუძინებელი მტრები არიან.

* * *

პაატა გუგუშვილი, როგორც ცნობილია, ინტენსიურ მუშაობას ეწევა აგრეთვე ეკონომიკის, სოციოლოგიის ზოგად პრობლემებზე და მე ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სწორედ ამ სფეროში, სადაც ზოგადსაკაცობრიო კულტურის ამა თუ იმ დარგის განვითარების კანონზომიერებათა დადგენისათვის ყველა ქვეყნის მოწინავე მეცნიერები იღწვიან, სადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევები ურთიერთს უპირისპირდებიან, სწორედ ამ სარბიელზედაც პაატა გუგუშვილმა სასახელო წარმატება მოიპოვა.

მაგალითისათვის საკმარისია აღინიშნოს მისი მონაწილეობა სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესზე იტალიაში (1959 წ.), სადაც მისმა მოხსენებამ „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. გერმანელმა პროფ. ნიულონმა, რომელმაც შეაჯამა ამ კონგრესის მრეწველობის სოციოლოგიის სექციის მუშაობა, პ. გუგუშვილის მოხსენება დაასახელა როგორც ნიმუში პრობლემის მეცნიერული შესწავლილობის მაღალი დონისა.

ასეთივე საყურადღებო მოხსენება („ეკონომიური განვითარების ფაქტებისა და ტემპების შესახებ“) წარადგინა მან ეკონომისტთა მსოფლიო კონგრესზე ავსტრიაში (1962 წ.)

ესოდენ მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა მუშაობამ, ცხადია, ხელი შეუწყო დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა ეკონომიური მეცნიერებისადმი ყურადღების ზრდას, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1961 წელს სორბონის (პარიზის) უნივერსიტეტმა თავის ორგანოში გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილის ვრცელი სტატია ქართული საბჭოთა ეკონომიური მეცნიერების განვითარების შესახებ, რაც დაიწერა თვით ფრანგი ეკონომისტების პროფ. ა. ბენიგსენისა და სხვათა თხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რაც პაატა გუგუშვილმა გასწია XIX-XX სს. საქართველოსა და კავკასიის სახალხო მეურნეობის, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების, ქართული საზოგადოებრივი აზრისა და მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საარქივო წყაროების გამოვლინებისა და პუბლიკაციისათვის.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა (ტფილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, გომელის, ოდესის, სახელმწიფო არქივსაცავებში მის მიერ გამოვლინებული მასალები პაატა გუგუშვილმა გამოაქვეყნა თემატიკურად შედგენილი სქელტანიანი ტომების სახით.

საარქივო წყაროების ამ კრებულს ერთვის პარალელური მასალების ვარიანტები, ვრცელი არქეოგრაფიული მიმოხილვები, სადაც მოცემულია გამოქვეყნებული დოკუმენტების კრიტიკული შეფასება, ეპოქის დამახასიათებელი გამოკვლევები, აგრეთვე საგნობრივი, გეოგრაფიული და პერსონალური რეგისტრები.

მეცნიერული აპარატით ასე ყოველმხრივ შემკული XIX-XX სს. ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პაატა გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან უეჭველად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული საბჭოთა არქეოგრაფია და წყაროთმცოდნეობა.

ცარიზმის ცენზურის მიერ აკრძალული აკაკი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა ნაწერების პუბლიკაციით, საერთოდ მეფის ცენზურისა და ქართული მწერლობის ურთიერთობათა საკითხების გაშუქებით, ქართული ადათობრივი სამართლის პირველხარისხოვანი ძეგლის ორიგინალის აღმოჩენით, მისი შედგენის ვითარების გამოკვლევით და გამოცემით პაატა გუგუშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული მწერლობისა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეს.

* * *

აქვე, თუნდაც გაკვრით, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ პ. გუგუშვილის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი მუშაობა. მისი მონაწილეობით და მის მიერ თარგმნილია, ან მისი რედაქციით ქართულად გამოცემულია მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებანი, სახელმძღვანელოები და გამოკვლევები ეკონომიურ მეცნიერებათა დარგებში. აგრეთვე იგი ავტორია მეცნიერული თარგმანისა და ტერმინოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი წიგნისა ქართულ ენაზე, სადაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულება და მოსაზრებაა წამოყენებული საერთოდ მთარგმნელობითი ხელოვნების პრობლემათა გარშემო.

* * *

პაატა გუგუშვილის ნაშრომები, განსაკუთრებით მისი ადრინდელი გამოკვლევები, რა თქმა უნდა, არ არის თავისუფალი ცალკეული ნაკლოვანებებისა, ხარვეზებისა და შეცდომებისაგან. მეცნიერი, რომელიც 35 წელიწადია რაც ეწევა მძიმე ჭაპანს ისეთი ურთულესი პრობლემის კვლევა-ძიებისა, როგორიცაა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, სოციალისტური საზოგადოების განვითარება და თუნდაც წინანდელი სოციალურ-ეკონომიური ყოფიერების და საზოგადოებრივი აზრის პროგრესის კანონზომიერებანი, წარმოუდგენელია თავისი შემოქმედებითი ენერგიის, კვლევა-ძიების მეთოდოლოგიის დონის, ერუდიციის, შეხედულებათა სისტემისა და სხვათა მხრივ ერთ ადგილას იდგეს.

იგი, ცხადია, თვითონვე გრძნობს ამას. შემოქმედებითად იყენებს მრავალრიცხოვან საბჭოთა და საზღვარგარეთელი კრიტიკოსების შენიშვნებს და ამიტომაცაა, რომ თავის ნაშრომებს ახალი გამოცემის დროს კიდევ უფრო ამდიდრებს და აუმჯობესებს. ყოველივე ეს ბუნებრივია და სადავო არ შეიძლება იყოს.

პაატა გუგუშვილმა თავისი ხანგრძლივი, ფრიად ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიურ მეცნიერებას. მართალია, ეკონომიურ საკითხებზე საქართველოში სხვა ბევრიც წერდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილ მეცნიერთაც მხოლოდ, ასე ვთქვათ, ეპიზოდურად შეეძლოთ გამოსულიყვნენ.

მეცნიერების ამ დარგში ნამდვილად სისტემატური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა პაატა გუგუშვილმა, რომელმაც თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებითა და გაშუქებით, სწავლულ ეკონომისტთა ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა საბჭოური ეკონომისტების ქართული სკოლა, რომელიც საერთოდ დიდი საბჭოური მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას.



ნელად მოლელავს, მოდუდუნებს...

ფოტო თ. ფურცხვანიძისა



ყურძნის კრეფა კახეთში

ფოტო ო. თურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადგური. „ვაგზლის მოედანი“



„მარჯანიშვილის მოედანი“



სადგური „რუსთაველი“



ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგური „ოქტომბრის [illegible]“



სადგური „ოქტომბერი“

# მეტრო



ფოტო ი. თურქიასი

„ვაგზლის მოედანი“ ვესტიბიული



ესკალატორი „ვაგზლის მოედანზე“



სადგური „დიდუბე“



სადგური „ელექტრო-დეპო“





სვანეთი. წარსულის საუნჯე
ფოტო გ. ხამაშური-
ძისა და ს. ონანო-
ვისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩემი ძმა ვიქტორი

ნინო დოლიძე

მამაჩემმა დიდის გაჭირვებით დაზარდა შვილები.

— ჩემსავით უსწავლელებს არ დავტოვებ, — ამბობდა მამა, — ვიქტორს კომერციულ სასწავლებელში შევიყვან. უმაღლესსაც კომერციულს დავამთავრებინებ, რაც არ უნდა გამიჭირდეს. ბანკის მოხელე იქნება. ჭკვიანი ბიჭია, იქნებ დირექტორიც გახდეს, მის დღეში გაჭირვებას არ ნახავს.

— არა, ისიდორე, — ეუბნებოდნენ — ვიქტორი მუსიკოსია ბუნებით, არ სჯობია მუსიკა ასწავლო, ვინ იცის რა სახელოვანი კაცი გამოვიდეს.

— ამ! არ მითხრათ მაგი! — უარზე იყო მამა,— მუსიკა რა ხელობაა, ისიც ვაჟკაცისათვის, მეც ძალიან მიყვარს სიმღერა და მოლხენა, მაგრამ თავის დროზე, გართობისას. ის არა სჯობია, უზრუნველი იყო, კაი ხელფასით, პატივცემული კაცი. და თუ მუსიკა გინდა, წადი თეატრში და იყიდე ბილეთი. ვიქტორი უფროსი ვაჟიშვილია ჩემი, მაგის იმედი მაქვს, მაწანწალა მუსიკოსი რა ბედენაა? მუდამ გაჭირვებაში იყოს, მუდამ ლუკმა-პურზე ოცნებობდეს? არა, არა, ეგ ბანკის დირექტორი უნდა გახდეს, მეორეს—ვასოს, ინჟინრად გავზრდი, სახლები აშენოს, და აგერ გოგო მეზრდება, იმას თუ გინდა ასწავლეთ მუსიკა, გოგოს ყოველთვის გამოადგება.

მე მართლაც მასწავლიდნენ მუსიკას. როცა წამოვიზარდე, კონსერვატორიაშიც კი ვსწავლობდი. რაში გამომადგა? შოპენის ორიოდე ნოქტიურნს და პრელუდს თუ დავუკრავ ხანდახან. ვიქტორმა კი მხოლოდ ჭაბუკობისას დაიწყო სერიოზულად მუშაობა მუსიკაში, ისიც მამისაგან ფარულად.

საბრალო მამა, როგორ ამაყობდა მერე თავისი პირმშოს სახელით, და როგორ არ უყვარდა, როცა შემდეგ მის ადრინდელ ჯიუტობას შეახსენებდნენ.

ერთ რამეში კი არ ცდებოდა მამაჩემი. ვიქტორი, მართლაც, არასდროს ყოფილა მატერიალურად უზრუნველყოფილი. მიუხედავად მისი დიდი სახელისა, რომელიც მან თავისი პირველი ოპერის პირველივე დადგმისთანავე მოიხვეჭა, მას მუდამ უჭირდა. გასაგებიც არის, „ქეთო და კოტე" ხომ 1919 წელს დაიდგა, „ლეილა" — 1922 წელს, „ცისანა"— 1924 წელს. იმ დროს ოპერის დადგმისას არაფერს არ იძლეოდნენ. კომპოზიტორი მარტო საოპერო თეატრიდან იღებდა ჰონორარს. ვგონებ თითო მოქმედებაში—ერთნახევარ პროცენტს. აბა რა თანხა უნდა შეედგინა ამ პროცენტებს მხოლოდ თბილისში და მხოლოდ ერთს თეატრში (დანარჩენი ორი ოპერა ხომ სხვადასხვა მიზეზების გამო მალე მოიხსნა). არც ნოტების ბეჭდვის საქმე იყო მოწესრიგებული. ვიქტორის სულ რამდენიმე რომანსია დაბეჭდილი. სხვა მარტო ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და ამიტომ მრავალი მათგანი დაიკარგა. და ეს გადაწერაც ხომ საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხანდახან მთავრობა სპეციალური დადგენილებით მისცემდა ხოლმე უფრო პოპულარულ კომპოზიტორებს ერთგვარი ჯილდოს სახით ცოტაოდენ თანხას, ხან ავადმყოფობის გამო, ხან კიდევ რაიმე თარიღთან დაკავშირებით. აი, მაშინ მოითქვამდა სულს ვიქტორი, თავის საყვარელ ბახმაროზე, ან აბასთუმანში წავიდოდა დასასვენებლად, ანდა ისევ ნოტების შეძენას, გადაწერას მოანდომებდა მთელ თანხას. თვითონ ფული, სიმდიდრე არაფრად მიაჩნდა. მიიღებდა თუ არა ჰონორარს, მოიტანდა, მახსოვს პირდაპირ ჩვენს სახადილო მაგიდაზე დაჰყრიდა, დაიძახებდა: „აბა, რამდენი ფული ავიღე, აბა, დაიტაცეთ, ვის რამდენი გინდა". ვინ დაიტაცებდა? დედაჩემი, ან შემდეგ დეიდა კესო იმ წამსვე აკრეფდა ფულს, თან დატუქსავდა კიდეც ვიქტორს: „ნუ ხარ ბავშვივით, რა ბევრი ფული შენ აიღე. ზაფხულია, დასასვენებლად უნდა წახვიდე სადმე".

როგორც უკვე ვთქვი, ვიქტორი ბავშვობიდანვე სუსტი იყო. რამდენჯერმე გადაიტანა ფილტვების მძაფრი ანთება. ადვილად ცივდებოდა. რის ვაი-ვიშით წამოვაყენებდით ხოლმე ფეხზე, და მერე ქალაქიდან უნდა გაგვეყვანა. თუ ზამთარი იყო — ზღვაზე, ხოლო თუ ზაფხული, — სადმე მთაში.

მახსოვს, ერთ ზაფხულში წაღვერში ვართ, კეჩხობში. ვიქტორი რომ ჩავიყვანეთ, უკვე მოკეთებული იყო, მაგრამ აქ რატომღაც უფრო დასუსტდა და ისევ აუვარდა სიცხე, ჰაერმა თუ დასცადა; ძალიან მძიმედ იყო. ერთ წუთს ვერ მოაცილებდი თვალს. როგორ უჭირდა სუნთქვა, როგორ ხრიალებდა ბრონხებში ჰაერი! საბრალო ვიქტორი, მაშინ ხომ არ იყო არც სტრეპტომიცინი, არც პენიცილინი, არც სულფიდინი.

მახსოვს, ყოველ დღე მოდიოდა პროფესორი ალადაშვილი, ძალიან ყურადღებით და გულთბილად იყო განწყობილი ვიქტორისადმი, დღეს არ გამოტოვებდა, რომ არ მოსულიყო და ხანგრძლივად რჩებოდა ხოლმე მასთან. იმან გადაარჩინა მაშინ ვიქტორი.

დედა არც დღე და არც ღამე არ სცილდებოდა მის საწოლს, მე კი მთელი დღეები დავრბოდი ზევით და ქვევით, აფთიაქებში, ექიმებთან, ექთანებთან, წაღვერში თუ ბორჯომში. არა ერთხელ ფეხით ჩავსულვარ ბორჯომში, რომ შემდეგი მატარებლისათვის არ მეცადა და დრო მომეგო, იმიტომ, რომ ჟანგბადის ბალიშებს და კიდევ მრავალ წამლებს წაღვერში სად ვიშოვიდი.

რამდენჯერ შემხვედრიან ტოლები, „სადა ხარ გოგო, როდის ჩამოხვედი, რომ არ ჩანხარ?", — მეტყოდნენ; „განა არ იცით, ვიქტორი ავადაა". „ო, მართლა!" ყველამ იცოდა, რომ თუ ვიქტორი ავად არის, ვერც მე, ვერც უმცროს ძმებს, ვერც პარკში, ვერც სადგურზე (წაღვერში სადგურზე გამოსვლა იყო ერთ-ერთი მთავარი გართობა იმ დროს) ვერ გვნახავდნენ. ჩვენ ხომ ხშირად დავდიოდით წაღვერში, და მუდამ, მოაგარაკეთა შორის მრავალი მეგობარი გვყავდა.

ძალიან მიყვარდა წაღვერი, ნაშუადღევს მის დაბანდულ პარკში გასეირნება, მჟავე წყაროზე ასვლა მაღლა მთაში, იმ საშიში მიკიბულ-მოკიბული ბილიკებით, სადაც კარგი ალპინისტური უნარი იყო საჭირო, რომ არ მომწყდარიყავი; ან ახალი ტყე, იქით, ეგრეთწოდებული არჯევანიძის ტყე. მაღალი ფიჭვები, მზით გამთბარი წებოვანი ფისის პრიალა წვეთები მოჟონავენ ოქროსფერ ტოტებზე, მიწა დაფარულია ხმელი, თბილი წიწვებით და მთელ ტყეში ისეთი მძაფრი, მაცოცხლებელი და თან რაღაცნაირად მომთენთავი სურნელია...

მაგრამ ვიქტორის ავადმყოფობის დროს რა მაგისი თავი მქონდა, დავრბოდი ასე ზევით-ქვევით. რამდენჯერ ცრემლმორეული ავსულვარ ამ აღმართზე, ცხელა. ოფლი თუ ცრემლები ხვითქად ჩამომდის სახეზე, ძლივს ვწვდები ხელებით ჟანგბადით გაბერილ ბალიშს. სული მეხუთება, ჰაერი აღარ მყოფნის, ვჩქარობ, მალე, მალე! მივუსწრებ თუ არა, ვაი თუ! მივალ, მივიტან, ვასუნთქებთ, მოვასულიერებთ და ახლა ისევ უნდა გავიქცე რაიმე სხვა წამლისთვის, ან ექიმთან.

ერთხელ თბილისში ჩამოსვლაც დამჭირდა.

მახსოვს, მარტო მე და დედა ვიყავით ავადმყოფთან. ვიქტორი საგრძნობლად მოკეთებული იყო, უკვე საწოლში წამოჯდომაც კი შეეძლო. მაგრამ როგორი სუსტი, როგორი გამხდარი იყო. ისეთი სუსტი და გაცრეცილი სახე ჰქონდა, მარტო უზარმაზარი შავი თვალები პრიალებდნენ, თითქო ჯერ კიდევ არ დავარდნოდეს სიცხე, ან შიგ ატროპინი ჩააწვეთესო. ახლა საჭიროა გაძლიერებული კვება, მაგრამ ფული გამოგველია... დედა თავს იტეხს, რა მოიქმედოს, ვის მისწეროს, სად იშოვოს ფული? შუათანა ძმა — ვასო ჯარშია, მამას ვინ იპოვნის თავის მოლით-მარილისში, მარტო მე და დედა ვართ ავადმყოფთან.

უცებ ვიქტორს აგონდება: „მე ხომ მისაღები მაქვს, ხუთი ათასი (იმ დროს ხუთი ათასი უდრიდა დაახლოებით ახლანდელ ხუთას მანეთს), მთავრობამ რომ დაადგინა, ჩემი საღამოს შემდეგ. რამდენჯერ მივაკითხე კომიტეტში და სულ მერე, მერეს იძახიან, ფეხზე რომ ვიყო, წავიდოდი, თვითონ ბუდუ მდივანს ვნახავდი, ვეტყოდი ყველაფერს".

— მე წავალ ბუდუ მდივანთან, — წამოვიძახე უცებ.

— შენ? რა სისულელეა!

— წავალ, რა მიჭირს, ჩავალ თბილისში, მივალ სახკომსაბჭოში და ვეტყვი...

— არა, შენ როგორ წახვალ, მარტო, ან როგორ მიხვალ იქ, რას გაიკვლევ.

— ჩავალ თბილისში, როგორ თუ ვერ გავიკვლევ! არ ვიცი სად არის სახკომსაბჭო თუ? მივალ და ვეტყვი...

ჯერ ძალიან შეიცხადეს, როგორც დედამ, ისე ვიქტორმა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ვიქტორი როდის წამოდგებოდა, ან რომ წამომდგარიყო კიდეც, თბილისს მისი ჩასვლა ამ შუა ზაფხულში, გაგანია სიცხეში აშკარად მისი დაღუპვა იქნებოდა.

მეტი რა გზა იყო, გამიშვეს.

ვიქტორმა დამარიგა, მიდი ხელოვნების კომიტეტში, უთხარი რომ ავადა ვარ, იქნებ იქვე მოგცენო, თორემ სახკომსაბჭოში შენ რას გაიკვლევ, და უხერხულიც არის, არამც და არამც იქ არ მიხვიდეო.

ჩავედი თბილისში. კომიტეტში არაფერი გამოვიდა, ხან ვისთან მიმგზავნეს, ხან ვისთან. დაიწყო გაუთავებელი — „არის ფული, არ არის" „იყო დადგენილება, არ იყო", „იმას უნდა მოეწერა ხელი, თუ ამას"... მოკლედ, მივხვდი, აქ არაფერი გამოვიდოდა; დღის ბოლოს, მეორე დღემდე არც დავიცადე, გავსწიე პირდაპირ სახკომსაბჭოში. ავედი კიბეებზე, ვნახე აწერია კარებს: თავმჯდომარე. შევაღე კარები, დამხვდა ვიღაც აღმოსავლური გარეგნობის კაცი, შავი, რომელიღაც ასირიელი მეფის მსგავსად დაყენებული წვერით, თუმც სახით ახალგაზრდას ჰგავდა.

— ვინ გნებავთ?

— სახკომსაბჭოს თავმჯდომარე უნდა ვნახო! — გამოვუცხადე.

— ამხანაგ ბუდუ მდივანს დღეს არ სცალია, ვერ მიგიღებთ, — მითხრა ამ „ასირიელმა", მერე კი ღიმილით დაურთო, — თუმცა ძნელია ასეთი ლამაზი მთხოვნელისთვის უარის თქმა, დაიცადეთ, იქნებ ბედმა გაგიღიმოთ.

და სკამი მომაწოდა.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი ყოველ-

---

* ერთი თავი ამავე სახელწოდების წიგნიდან.

თვის ლამაზია, მერე და იქნებ უბრალოდ ქათინაური იყო, მაგრამ მე ვიუკადრისე და უმალვე მოვუჭერი:

— მე ლამაზი მთხოვნელი კი არა ვარ, ვიქტორ დოლიძის და ვარ და აუცილებლად უნდა ვნახო ბუდუ მდივანი. ჩემი ძმა ავად არის, სასწრაფო საქმე მაქვს.

ღიმილი უმალვე გაჰქრა „ასირიელის“ სახეზე. იგი უცებ სერიოზული გახდა:

— ვიქტორი ავად არის? რა მოუვიდა?

— ფილტვების ანთება ჰქონდა, — ვუთხარი მოკლედ, — თუ შეიძლება... — მაგრამ მან აღარ დააყოვნა.

— ახლავე, — თქვა და უმალვე კაბინეტში გაუჩინარდა. მალე გამოვიდა და მეც შემიყვანა. მახსოვს ბუდუ მდივანის ლამაზი, გაბადრული სახე. იგი კეთილი ღიმილით შემხვდა:

— რა მოხდა, ქალიშვილო?

მე, ცოტა არ იყოს, დავიბენი.

— იცით, პატივცემულო, — დავიწყე არეულად, — მე ვიქტორ დოლიძის და ვარ, — ვიქტორი ავად არის... ძალიან. წაღვერში გვყავს და ფული გამოგველია. ახლა მისი აქ ჩამოყვანა სიკვდილი იქნებოდა. თუ შეიძლება ის ხუთი ათასი, თქვენი... სახკომსაბჭოს დადგენილება რომ იყო... რომ მოეცათ...

— როგორ, განა ჯერ არ მიუღია? — გაოცდა ბუდუ მდივანი და უმალვე აგუგუნდა მისი საამო ბოხი ხმა. — რასა ჰგავს ეს, ვაჭილდოებთ კაცს და...

— იცით, პატივცემულო ბუდუ, კომიტეტში მითხრეს, ვიღაცას ჯერ ხელი არ მოუწერია თურმე.

— როგორ თუ არ მოუწერია, ვის არ მოუწერია?

„ასიერიელი“ დატუქსა, სადღაც დარეკეს. მოკლედ, მეორე დღეს მე უკვე ხუთი ათასი მანეთით ჩავედი წაღვერში.

რა სიხარული იყო. ვიქტორს უფრო ის ახალისებდა რომ „ამ ტინგიცა გოგომ“ ასე უცებ გაჩარხა საქმე.

— საოცარია, — იმეორებდა იგი, — მაინც, როგორ მოახერხა ასე უცებ? მე რამდენი ხანია ვერ იქნა და ვერ გამოვიტანე ეს ჩემს სახელზე გამოწერილი ფული. ამან კი... არა, ეს გოგო არ დაიკარგება...

— ნეტა რა მოხერხება უნდა, — შევიფერე ახლა მეც, — მივხვდი, რომ კომიტეტში არა გამოვიდოდა რა, წავედი ბუდუ მდივანთან და ვუთხარი. რა იყო აქ ისეთი...

ძალიან ახალისებდა ვიქტორს ეს ამბავი, სულ იმას ჰყვებოდა, რომ იგი აგერ ერთ წელიწადს დადიოდა და მაინც ვერ აელო ფული, რომელიც მის სახელზე იყო გამოწერილი, და ამ „ტინგიცა გოგომ“ უმალვე ჩამოარბენინა. იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ თვითონ რომ მისულიყო მდივანთან, ალბათ იმთავითვე გათავდებოდა ყველაფერი, მაგრამ ვიქტორს არ უყვარდა ასეთი ხალხის შეწუხება თავისი პირადი საქმისათვის.

ყურადღებიანმა მოვლამ და მზრუნველობამ მალე წამოაყენა ფეხზე ვიქტორი, და ისევ გაისმა ჩვენს აგარაკზე სიმღერა, სიცილი, ხუმრობა. უფრო ხშირად კი აიღებდა ვიქტორი თავის ვიოლინოს და წავიდოდა შორს ტყეში, ნაძვნარში, მარტო. იქ საათობით უკრავდა. მზით დამთბარი ნაძვნარის სიმყუდროეში ისმოდა პაგანინის ეტიუდები, სარასატეს „ბოშური მელოდიები“, თუ სენსანსის „რონდოს“ წარმტაცი ხმები.

ჩვენ მაინც არ ვტოვებდით ვიქტორს და სულ მის ახლოს ვტრიალებდით, ხან საჭმელს მივაწვდიდით, ხან ფარდაგს ავუტანდით, რომ მიწაზე არ წამოწოლილიყო და ისევ არ გაციებულიყო.

* * *

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი ვიქტორის ახლო მეგობარი იყო. ხოხო ხშირად ისვენებდა წაღვერში. სხვათა შორის, მას ძალიან უყვარდა სურათების გადაღება. მოხეტიალე ფოტოგრაფები სულ ფეხდაფეხ დასდევდნენ, როდის დავჭირდებითო.

სად და როგორ არ გადაგვიღებდა სურათს— პარკში, თეატრთან, სადგურზე, მჟავე წყალთან, ჩანჩქერთან, ხან მარტო ჩვენ დაგვსხამდა, სხვადასხვანაირად დაგვაჯგუფებდა, ხან თვითონაც ჩაჯდებოდა შუაში. ერთხელ სემაფორზეც კი აგვაცოცა ბავშვები და ისე გადაგვიღო. ი. გრიშაშვილის ჩაგონებით მივეპარეთ ერთხელ ვიქტორს ტყეში, როცა იგი მარტო უკრავდა, და მაშინ გადავუღეთ ის ცნობილი სურათი, ნაძვნარში რომ ვიოლინოზე უკრავს.

დღითი დღე უფრო ჯანზე დგებოდა ვიქტორი და მალე ისევ მუშაობას შეუდგა. როგორ უხაროდა დედას, რომ გამოაკეთა თავისი სათაყვანებელი პირმშო.

ახლა ვიქტორი დილით ადრე ნაძვნარში წავიდოდა, შუადღემდე უკრავდა, მერე კი ჩამოვიდოდა, მოეწყობოდა ჩვენს ფართო აივანზე, თავისი ნოტებით, ფანქრებით, კალმებით, თან მუშაობდა, თან ხუმრობდა, იცინოდა, მღეროდა.

საბრალო დედა, როგორ დაჰხაროდა ვიქტორს, როგორ შეჰყურებდა თვალებში, აბა ხომ არ გახდა, თუ მოიკეთაო, აბა თუ კარგ გუნებაზეა, რამეს ხომ არ ნაღვლობსო. კარგია რომ არ მოესწრო ვიქტორის სიკვდილს. დედა გარდაიცვალა ცხრაას ოცდაორ წელს, ვიქტორი — ოცდა ცამეტს.

* * *

როცა ვიქტორმა კომერციული სასწავლებელი დაამთავრა, იგი კიევს გაემგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. აქაც ისევ კომერციულ ინსტიტუტში შევიდა, არ გადაუხვია მამის სურვილს, თუმცა იმ დროისთვის მას უკვე მუსიკოსის სახელი ჰქონდა. ვიქტორი ბევრს უკრავდა, მღეროდა, წერდა კიდეც რაღაცას. არ ვიცი, ეს უკვე მისი საკუთარი მუსიკის შექმნის პირველი ცდები იყო, თუ იგი სხვის რომანსებს და არიებს იწერდა. ვიქტორი ხომ იმ დროს უკვე სიმღერას სწავლობდა პროფესორ რიადნოვთან, და როგორც უკვე ვთქვით, საკმაოდ კარგი ხმა ჰქონდა, ბოლოს რომ ყელის ავადმყოფობას არ შეეშალა ხელი.

ოჯახში გადავწყვიტეთ, რომ ვიქტორს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთი წელიწადი მაინც დაესვენა, ჯანმრთელობის გასაძლიერებლად და მხოლოდ შემდეგ წასულიყო კიევში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. კიევიც იმიტომ აირჩიეს, რომ უნივერსიტეტის ქალაქებიდან ის ყველაზე ხელსაყრელი იყო, შედარებით უფრო რბილი ჰავის გამო. ვიქტორს ხომ სუსტი ფილტვები ჰქონდა და მოსკოვი ან პეტერბურგი დედას ძალიან აშინებდა სიცივეების გამო. თბილისში კი სად იყო მაშინ უნივერსიტეტი!

დარჩა ვიქტორი თბილისში, და ეს ერთი წელიწადი „დასვენება“ შესანიშნავად გამოიყენა. დაახლოებით იმ დროს თბილისში გაიმართა მანდოლინაზე დამკვრელების კონკურსი. ვიქტორი ხომ ყველა მისაწვდომ ინსტრუმენტზე უკრავდა, მანდოლინა იქნებოდა, გიტარა თუ ბალალაიკა, და გადაწყვიტა გასულიყო ამ კონკურსზე. გავიდა კიდეც და წარმატებითაც დაუკრა. პირველი პრიზი მიიღო, რაღაც ფულადი ჯილდო, მეც წამიყვანეს ამ კონკურსზე. სამწუხაროდ, არაფერი მახსოვს, ან როგორ უკრავდა ვიქტორი, ან სად. თვით დარბაზიც არ მახსოვს, არც ის თუ როგორ გამოაცხადეს, რომ ვიქტორმა გაიმარჯვა, მე ხომ სულ პატარა ვიყავი მაშინ. მახსოვს მხოლოდ, როგორ ვბრუნდებოდით კონკურსის შემდეგ ეტლით. ვიღაცა კიდევ იჯდა ჩვენს ეტლში. ვიქტორი აღგზნებული, თან როგორღაც შორს წასულივით იყო. ეს ერთი მახსოვს, რაც თქვა ამ გზის დროს: „ეგ რაა, აი ვიოლინოზე დაკვრაში რომ მიიღო პირველი პრიზი, ეგ მესმის“... როგორც ჩანს, ვიოლინოზე დაკვრა მისი ოცნება იყო იმ დროს, მაგრამ ვიოლინო სად ჰქონდა. ისე თუ დაიხელთებდა სადმე მეგობართან და თავის-თავად უკრავდა, რაც შეეძლო, სმენით...

პირველად გამოცხადდა მაშინ ვიქტორის სახელი გაზეთებში, ამ კონკურსის და პრიზის მიღების გამო. ვნანობ, რომ არ შემოვინახე ის გაზეთი! ამ კონკურსს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბავი მოჰყვა. ერთმა მეცენატმა, არ მახსოვს, ვგონებ სარაჯიშვილმა, ამ გამარჯვების გამო ვიქტორს ვიოლინო აჩუქა: „ნიჭიერი ყმაწვილის და ისწავლოს“. ნეტავი იცოდა, რომ ვიქტორი სწორედ ვიოლინოზე ოცნებობდა, თუ ისე შემთხვევით დაემთხვა ეს ამბავი, ვიქტორმა კი ძალიან გაიხარა. მაშინ დაიწყო სერიოზულად მუშაობა ვიოლინოზე, და შემდეგაც ბევრს უკრავდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მისი ოცნება — ვირტუოზი გამხდარიყო, არ შესრულდა. ცნობილია, რომ ვიოლინოზე დაკვრა ბავშვობიდან უნდა დაიწყო, თორემ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ასაკში უკვე გვიან არის. მაინც ვიქტორი სერიოზულად მუშაობდა ვიოლინოზე, არა თუ მარტო იმ დროს, არამედ მთელი თავისი სიცოცხლის არც ისეთ გრძელ გზაზე. უკვე სახელმოხვეჭილი კომპოზიტორი, იგი თავისუფალ დროს, უფრო კი ზაფხულობით დასვენებისას, საათობით უკრავდა. ჯერ ვარჯიშობდა, ასე ერთი-ორი საათის მანძილზე, მერე უკრავდა საყვარელ ნაწარმოებებს, ისეთ რთულებსაც კი, როგორც პაგანინის ეტიუდები, ან სენსანსის „ბოშური სიმღერები“. ისე რომ, ეს ერთი წლით „დასვენება“ ვიქტორმა ძალიან ნაყოფიერად გამოიყენა. სიმღერის გაკვეთილებსაც იღებდა, ვიოლინოზე სწავლა დაიწყო, არ ვიცი ვისთან სწავლობდა, ისე კი მახსოვს, რომ სისტემატურად დადიოდა სადღაც ვიოლინოთი და დავალებებს ასრულებდა. თავისუფალ დროს დადიოდა კონცერტებზე, თეატრებში, თვითონვე მართავდა კონცერტებს.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, ვიქტორმა შეადგინა მანდოლინისტების და გიტარისტების ანსამბლი. სხვათა შორის, ამ ანსამბლში იღებდა მონაწილეობას შემდეგში ცნობილი მომღერალი სანდრო ინაშვილი. სანდრო გიტარაზე უკრავდა, ვიქტორი მანდოლინაზე და დირიჟორობდა კიდეც. ამ ორკესტრს წარმატება ხვდა წილად თავის დროს.

ერთ ზაფხულს მუშტაიდის პარკში (ახლანდელი ორჯონიკიძის სახელობის პარკი) გამოცხადდა კონკურსი, უნდა შეერჩიათ ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელიც სათანადო გასამრჯელოთი მთელ საზაფხულო სეზონს პარკის ესტრადაზე დაუკრავდა.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელი მუშტაიდი მეტად პოპულარული ადგილი იყო. ყოველ საღამოს და განსაკუთრებით კვირაობით ხალხით გაჭედილი, იგი უფრო დიდ მანძილს იჭერდა იმ დროს, ვიდრე ახლა. გარს ცაცხვების ხეივანი უვლიდა, სადაც იმ დროის წარჩინებულნი და შეძლებულნი ეტლებითაც კი სეირნობდნენ, პარიზის ელისეის პარკის მსგავსად. და აი ამ პარკში დაკვრის უფლებისათვის იბრძოდა თურმე რამდენიმე ისეთივე თვითმოქმედი ანსამბლი.

ვიქტორი იგონებდა შემდეგ, რომ ეს ყველაზე უფრო დიდი გამარჯვება იყო მის სიცოცხლეში, რომ იგი არასდროს არ ღელავდა ისე, როგორც მაშინ; არც თვით თავისი პირველი ოპერის „ქეთო და კოტეს“ განხილვის თუ დადგმისას.

„ღმერთმანი, — ფიცულობდა ვიქტორი (არ კი ვიცი, ხუმრობდა თუ მართლა ასე იყო), აქ მე როგორღაც უფრო დარწმუნებული ვიყავი, მე თვითონ დავწერე ჩემი ოპერა და ვიცოდი კიდეც რა დავწერე და რა გამოვიდა, თან ცხოვრებაშიც ცოტათი უფრო გამობრძმედილი ვიყავი და მეტიც მესმოდა, იქ კი... ჩვენ ხომ ჯერ სულ ბავშვები ვიყავით. როგორც გვეხერხებოდა, ისე ვუკრავდით, მე ვიყავი მთავარი მასწავლებელი. აბა მე თვითონ ჯერ რა ვიცოდი, მანამდე ამხანაგებში, სადმე ეზოში ან ბაღში თუ დამიკრავს. იქ კი ყველას მოსწონდა, მაგრამ მსმენელები ხომ ჩვენივე ამხანაგები, ბავშვები იყვნენ. აქ კი ესტრადა, კომისია, მოვიდნენ ვიღაც სერიოზული ბიძები, დაგვსხეს ესტრადაზე, გვისმინეს. მერე და მარტო ჩვენ ხომ არ ვი-

უავით, რამდენიმე ანსამბლი იყო გასასინჯი და გეგონებოდათ, განგებ შეარჩიესო, ისეთი ლამაზ-ლამაზი, წარმოსადეგი, ჯმუხი ვაჟკაცები იყვნენ, თვალი ზედ დაგრჩებოდათ. ჩვენებში კი, მარტო სანდრო ინაშვილი თუ გამოირჩეოდა სილამაზით, თუმცა ისიც გამხდარი იყო მაშინ, მაგრამ სიმაღლე მაინც ჰქონდა, სხვები კი, თითქოს განგებ, ყველა სულ პატარა, ჩია-ჩია ბიჭები. არც თუ ისე კარგად გვეცვა ტანთ და ფეხთ. ვფიქრობ, ვაი თუ სასაცილოდ აგვიღეს და სულ კინწის კვრით გაგვყარეს. ის კი არა, ნეტავი არა გვცემონ-მეთქი. დავსხედით, დავარტყი კამერტონი, რომ ინსტრუმენტებიააწყონ ბიჭებმა (ნეტა ამ კამერტონს სად და როდის დაეუფლა, როდის ისწავლა? როგორ ვნანობ, რომ არ ვკითხე მაშინ, როცა ჰყვებოდა), დავარტყი და მისი ხმა სადღაც შორს, შორს ცხრა მთას იქით მომესმა.

მაგრამ დავიწყეთ თუ არა, და შევხედე ბიძებს, უკვე ვიგრძენი, რომ საქმე კარგად არის. ისე უცებ გაუნათდათ ყველას სახეები და ისე ყურადღებით გვისმენდნენ, თავსაც კი აკანტურებდნენ, თითქო უკვირდათ კიდეც. არასდროს არ დამავიწყდება რა სიხარული ვიგრძენი.

გაიმარჯვა მაშინ ანსამბლმა, და წარმოდგენილი მაქვს, რა სიამაყით დადიოდნენ საღამოობით და უკრავდნენ პარკში ამ ზღვა ხალხის მოსასმენად ეს „ჩია ბიჭები".

აქ ერთი რამ არის საინტერესო: ორკესტრი, რომელიც უკვე სერიოზულ ნაწარმოებებს ასრულებდა, ალბათ უკვე ნოტებით უკრავდა. სად ისწავლა ვიქტორმა პირველად ნოტები, ვისთან? თვითონ მიაღწია ამ ცოდნას, სახელმძღვანელოებით? თუ სმენით უკრავდა და სმენითვე იგონებდა და ასწავლიდა თავის ამხანაგებს? ვფიქრობ, მაინც ასეთი სერიოზული ანსამბლი ნოტების გარეშე ვერ შეიქმნებოდა. მაშ სად, როდის დაეუფლა ვიქტორი პირველად ამ ცოდნას? სამწუხაროდ, ახლა მაგისი დადგენა შეუძლებელია. აღარც ვიქტორია ცოცხალი და აღარც სანდრო ინაშვილი. სხვას კი არავის ვიცნობდი იმ ორკესტრის წევრებიდან.

ერთი კი ცხადია: თუ ადამიანს რაიმე იზიდავს, უყვარს, თუ რაიმე განსაკუთრებული ნიჭი და მიდრეკილება აქვს, იგი ყოველთვის გაიტანს თავისას, როგორც არ უნდა უშლიდეს ხელს გარემოცვა თუ პირობები. ავილოთ თუნდაც ვიქტორის გარემოცვა, ოჯახი. ცუდი ოჯახი არ ჰყავდა ვიქტორს. მზრუნველობა, ყურადღება, მოვლა არ აკლდა, მაგრამ აბა ვის ესმოდა, ან ვინ აფასებდა მის მუსიკალურ ნიჭს? ახლა სკოლა? კომერციული სასწავლებელი იმავე უფლებებით სარგებლობდა, როგორც გიმნაზია, მაგრამ მას თავისი განხრა ჰქონდა. ესე იგი, მეტი ანგარიში, ეკონომიკა, ბუღალტერია. აქაც ხომ, ალბათ, უფრო ისეთი ოჯახები აბარებდნენ შვილებს, ვაჭრები, კომერსანტები, საქმოსნები, რომ თავიანთი მემკვიდრენიც თავიანთ ყაიდაზე წარემართათ.

და ამ წრეში, ამ გარემოცვაში ვიქტორმა მაინც გაიკვლია თავისი გზა, უფრო მეტიც, სხვებიც აიყოლია, აგერ ასეთი ორკესტრი შექმნა და ჯერ კიდევ სიჭაბუკეში უკვე საგრძნობი მიღწევებიც ჰქონდა, შესაფერისი წრეც კი გამოძებნა, შეარჩია, დაიმეგობრა ოდნავ თუ ბევრად მუსიკალური ახალგაზრდობა. ისინიც გაიტაცა და აგერ ასეთ წარმატებასაც მიაღწია. სხვა რომ არაფერი, ყოველივე ამას ხომ ორგანიზაცია უნდოდა. არა, უსათუოდ იცოდა ვიქტორმა საქმის თადარიგი. თუ რაიმე აინტერესებდა, და თუ რაიმეს ხელს მოჰკიდებდა, მიიყვანდა კიდეც ბოლომდე, და ეს თვისება, როგორც ჩანს, ბავშვობიდანვე დაჰყვა.

მახსოვს კიდევ, იმ გაზაფხულს, როცა სკოლა უკვე დაამთავრა და კიევში ჯერ არ წასულიყო, ვიქტორმა ბორჯომში საბავშვო ოპერა დადგა. აქ ბორჯომში შეაგროვა ნიჭიერი ბავშვები, თვითონვე შეადგინა ოპერა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საკუთრივ მისი, ორიგინალური ნაწარმოები. სხვადასხვა ოპერებიდან ამოღებული დუეტებით, კვარტეტებით თუ არიებით, თავისთავად შედგენილ სიუჟეტზე აგებული იყო საბავშვო ოპერა. ბავშვები მღეროდნენ, ცეკვავდნენ. გუნდიც იყო, პატარა ბალეტიც. რა თქმა უნდა, არა კლასიკური, უფრო სახასიათო ცეკვები. მაგრამ მთლიანად ეს იყო მუსიკალური წარმოდგენა, ერთ ღერძზე აგებული, შეკრული სიუჟეტით. რატომღაც ყველაზე უფრო მახსოვს „პეპლების დუეტი", ორი გოგონა, პეპლებად გამოწყობილნი, ერთი ვაჟის, ხოლო მეორე ქალის როლში, მღეროდნენ ჩაიკოვსკის „პიკის ქალიდან" მწყემსი ქალ-ვაჟის დუეტს: „ჩემო ნაზო მეგობარო". შემდეგ რაღაც მასობრივი სცენებიც იყო, მოკლედ, ამ წყვილს დევნიდნენ, ავიწროებდნენ, მაგრამ ისინი ბოლს მაინც იმარჯვებდნენ.

სამწუხაროდ, მეტი არაფერი მახსოვს ისე მკაფიოდ, და არავითარი ფრაგმენტები ან ჩანაწერები ამ ნამუშევრისა არ შენახულა. ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის ვიქტორის ბიოგრაფიით დაინტერესებულ პირებს, იყო თუ არა ამ საბავშვო ოპერაში რაიმე თვით ვიქტორის, ორიგინალური, ან რომელი ოპერების ნაწყვეტები იყო კიდევ. არ ვიცი, მე მხოლოდ ჩაიკოვსკის ოპერის დუეტი დამრჩა მეხსიერებაში, მე ალბათ მაშინ ჯერ ნაკლებად ვიცნობდი სხვა ოპერებს და ამიტომ ვერც მივხვდებოდი სახელდობრ რა ან საიდან იყო კიდევ. მახსოვს კი, რომ ვიქტორი მთელი დღეები მუშაობდა პატარა „არტისტებთან", ასწავლიდა მათ, ამღერებდა, იყო ერთი ორომტრიალი. ვგონებ, ბორჯომის იმ ზაფხულის თითქმის ყველა მოაგარაკე ერთთავად ჩაბმული იყო ამ საქმეში. ჯერ იყო ბავშვების შერჩევა. მგონი არც ერთი ბავშვი არ დარჩენილა გაუსინჯავი. დასტა-დასტად მოჰყავდათ მშობლებს საგანგებოდ გამოწყობილი გოგო-ბიჭები და ბავშვებზე მეტად მგონი თვითონ მშობლები ღელავდნენ ამ „ოპერის" დადგმის გამო. იკერებოდა ტანსაცმელი. ნაზი ფერების, გაზის სიფრიფანა კაბები, ფერად-ფერადი ქაღალდების ფრთები, ყვავილები, გვირგვინები.

მშობლები ტანსაცმელს კერავდნენ, ბილეთებს ავრცელებდნენ, წესრიგს იცავდნენ. წარმოდგენა, რომელიც იქვე პარკის კურზალში შედგა, მშვენივრად ჩატარდა. არავის არაფერი შესცდენია, არავინ წაბორძიკებულა. იყო ერთი ტაშის გრიალი, „არტისტების" გამოძახება. გაბრწყინებული სახეებით გამოდიოდნენ ბავშვები, პეპლებად, ხარაბუზებად, კალიებად გამოწყობილნი.

სხვათა შორის, ერთი ამ „არტისტთაგანი", ამ წარმოდგენის „პრიმადონა" ლიუსია ლესნაია შემდეგ მართლა მსახიობი გახდა. მე მინახავს იგი ჟიხარევას კამერულ თეატრში აქ, თბილისში, ოციან წლებში. მერე რუსეთში წავიდა, აღარ ვიცი შემდეგ მისი ბედი.

ეს ამბავი მით არის ალსანიშნავი, რომ მაშინ ხომ არ იყო არავითარი ბავშვთა გამაერთიანებელი, თუ გასართობი საზოგადოებები; ამიტომ უფრო საინტერესო ხდება, რომ ვიქტორმა ჯერ კიდევ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკმა თავისი თაოსნობით წამოიწყო ეს საქმე და მოაგვარა კიდეც ასე მოკლე ხანში. ყურადღება თუ მიაქცია, რომ ბავშვები უყაირათოდ ხეტიალში ან არა საინტერესო თამაშებში ატარებენ დროს? ან და უკვე ებადებოდა სურვილი თუ ლტოლვა ოპერის სახის სანახაობის შექმნისა და ეს მისი პირველი ცდა იყო? ყოველ შემთხვევაში, აქედან ჩანს, რომ ფიქრი ოპერაზე, ჰო, ასეთი მუსიკალური სანახაობის შექმნაზე, მას ადრევე ჩაესახა. ამიტომ, როცა ვიქტორი თავისი პირველი ოპერით, „ქეთო და კოტეთი" წარდგა საზოგადოების წინაშე, ეს, მართალია, ყველასათვის მოულოდნელი იყო, მაგრამ თუ დავუკვირდებით მის ბიოგრაფიას, ეს ამბავი არც თუ ისე გაუგებარი და მოულოდნელია. კონკურსზე გამარჯვება, მუსიკალური ნიჭიერი ახალგაზრდების შემოკრება, ორკესტრის შექმნა, საბავშვო ოპერის შედგენა-მომზადება და დადგმა (აქაც ხომ ბოლომდე მიიყვანა, დააგვირგვინა კიდეც ეს იმდროისთვის სულ ახალი, უპრეცენდენტო საქმე)... იშვიათად, რომ რამე დაეწყო ვიქტორს და ბოლომდე არ მიეყვანა. მხოლოდ სიცოცხლემ უმტყუნა და მთავარი თავისი საქმე არ დაამთავრებინა. ვერ დაასრულა უკანასკნელი ოპერა „ჩერმენი", ვერ მოესწრო თავისი პირველი საფორტეპიანო კონცერტის შესრულებას. ბევრი რამ ვერ მოასწრო...

ასე გაატარა ვიქტორმა ეს დასვენების დრო. უკრავდა ვიოლინოზე, სწავლობდა, მღეროდა... მიიწურა ეს წელიწადიც და ვიქტორი კიევში გაემგზავრა, კომერციულ ინსტიტუტში სასწავლებლად. მაგრამ ჩავიდა თუ არა ამ მშვენიერ ქალაქში და ალრიცხვაზე დადგა ინსტიტუტში, უმალვე მუსიკალურ სკოლაში გაიქცა და დაიწყო სერიოზული მეცადინეობა ვიოლინოს კლასში. ხოლო იმისთვის, რომ ამ სკოლაში გადასახდელი ფული ძალიან მძიმედ არ დასწოლოდა მის ღარიბულ ბიუჯეტს, თვითონ აიღო გაკვეთილები, მანდოლინაზე დაკვრას ასწავლიდა. მსურველები ბევრნი აღმოჩნდნენ, ისე რომ ვიქტორს შინიდან დახმარება არ მოუთხოვია და მუსიკალურ სკოლაში ისე სწავლობდა, რომ აქ, ოჯახში არავინ იცოდა, უფრო მეტიც, მალავდა კიდეც.

როცა იქ, კიევში ერთმა ახლობელმა ინახულა და ნათლად დაინახა, რომ ვიქტორი ბევრად უფრო გატაცებულია მუსიკით, ვიდრე თავისი კომერციული ინსტიტუტით, ვიქტორმა გამოცილებისას გააფრთხილა თურმე — შინ ნურაფერს იტყვი ამ ჩემს მუსიკალურ ამბებზეო, რად უნდა ააღელვო ტყუილუბრალოდ ჩვენები. მე ამ კომერციულ ინსტიტუტს მაინც დავამთავრებ და მერე ვნახოთო...

რამდენ ბავშვს და თვით კარგა მოზრდილ ყმაწვილებს ძალით დაატარებდნენ მუსიკალურ სკოლებში და კონსერვატორიებში, ქვეყანას აწუხებენ, ნიჭიერია ჩვენი შვილი, გზა მიეცითო, ვიქტორი კი ისე მალავდა თავის მუსიკაზე მეცადინეობას, აგერ ლოთობაში, ან რაიმე სხვა უსაქციელობაში რომ შეესწრები კაცს და დაგანამუსებს — თუ ძმა ხარ არ გამცე, მშობლებთან არაფერი წამოგცდესო.

კაცმა რომ თქვას, ვიქტორი ბავშვი აღარ იყო, და არავინ დაატანდა ძალას, რომ გამოეცხადებინა — ასე და ასე, აღარ მინდა ეგ თქვენი კომერციულიო, მაგრამ ეტყობა თვითონ არ უნდოდა, უფრთხილდებოდა მშობლებს, ტყუილად არ აეღელვებინა, ვიდრე საბოლოოდ არ დარწმუნდა და არ გადაწყვიტა, სად იყო მისი მოწოდება; მაშინ კი აღარვის შეპუებია და არც არავის უთქვამს მისთვის რამე.

ილია ხოშტარია

## ანდერძი

აი, ხედავ ყველაფერი
დიდი შრომით რომ გაქვს მზად,
მე ვბერდები, ჩემო შვილო,
შენ განაგრძე ჩემი გზა.
დაგმე შური, სიბოროტე,
ქვეყნად წმინდათ იარე,
ოცნების და სიყვარულის
ყვავილი აშრიალე.
სამშობლოსთვის თავგანწირვის
გქონდეს მუდამ მიზანი,
დაუკვირდი აღარ შეცდე
მეგობარი იცანი.
უსულგულო კაცისათვის
ავბედითად ქრის ქარი,
მონდომებით, მხოლოდ შრომით
გაგეხსნება ცისკარი.
იყოს ზეცა მოწმენდილი,
შვილო, შენთვის იდაროს,
დაგეძლიოს დაბრკოლება,
შიში არ გაიტარო.
არ იფიქრო, რომ ცხოვრება
არის მარტო ზღაპარი,
წინ გიძღოდეს სიმართლისთვის
უქრობელი ლამპარი.
მიიწურა დღე სიცოცხლის,
ალბათ ვგრძნობ დამახვენებს,
მე წავალ და შენ დარჩები,
მაგრამ ხშირად მახსენე.
ელვარე მზე ფერად სხივებს,
შენს ხუჭუჭ თმებს აქსოვდეს,
ნუ დაკარგავ მშობლის ამაგს,
ბევრჯერ მითქვამს — გახსოვდეს.
როცა ბაგე დადუმდება
წამწამები დახარე,
მოდი შემდეგ ჩემს საფლავზე,
ცხარე ცრემლი დაღვარე.
ყველასათვის, ჩემო შვილო,
მუდამ კარგი გენატროს,
არა ტანჯვა, სიხარული
ქვეყნად მეტი გენახოს.

## მისი საუნჯე

ის იყო ჭმუნვით აღსავსე
აგონდებოდა წარსული,
თავის გოგონას საფლავზე
ცხარედ სტიროდა ასული.
დღე მოუსწრაფა საღამომ
ო, მის ცქრიალა მზარდ ჩინარს,
რა არ იღონა საბრალომ,
რომ შვილი გადაერჩინა.
საფლავზე მუდამ ქარი ქრის
თოვლის ფანტელი დახვავდა,
სათ წავიდეს არ იცის,
დაეძებს, რაღას ნახავდა!
ეგზომ დიდ ხვედრს ატარებს,
თვალები ცრემლით ევსება,
მკერდს იკრავს სხვების პატარებს,
უძახის, ეალერსება.

## სიკვდილი

ის როდის მოვა, არავინ იცის,
არცაა ამის ცოდნა საჭირო,
არ ჩანს საზღვარი ცისა და მიწის,
ო, სულო, მზიან ველზე გაჭრილო!..
მაშინ ხომ არვის ენდომებოდა
ის თავსამტვრევი ახლის ძიება,
მაშინ ხომ ფასიც არ ექნებოდა
ქვეყნად სიცოცხლის აღორძინებას.
ვწყევლიდეთ სიკვდილს, როგორც შავ უნახს,
დე, მის წყევლაში გავიდეს წლები,
წინასწარ მისი მიხვედრის უნარს
ჩვენ ნურასოდეს ნუ მოვისწრებთ.

## ფერთა სიუხვე

*ლადო გუდიაშვილს*

მე შენს სურათებს ჩავცქეროდი
და მიხაროდა —
უშბის თეთრ მწვერვალს მზის სხივები
აფერადებდა,
ის სურათები გადმოვიღე,
მაღალ თაროდან,
გამოძერწილი შენი ხელით
ძალას მმატებდა.

რამდენი ღამე ალბათ თეთრად
დაგითენებია,
ჩანაფიქრისთვის რომ სიცოცხლის
სული ჩაგედგა,
ცას მიბჯენილი მშობლიური
ეს ხომ მთებია,
რომელმაც დიდი სიყვარული
მკერდში ჩანერგა.

ისეთი იყო ყალმის ძალა,
რომ ჩამქრალ კერას
აბდღვიალებდა, უნუგეშოს
აღარ სტოვებდა,
ფერთა სიუხვის ამ საოცარ,
ამ დიდ სიმღერას
სევდა მიჰქონდა, სიხარულით
გვაჯადოებდა.

ტკბილმოუბარი ეს მხატვარი
ისევ მხნედ არის,
ზეშთაგონება ულეველი
მას გზას უნათებს,
მთელი არსებით, მთელი გრძნობით
ხალხი შეჰხარის
გუდიაშვილის ჭეშმარიტად
დიად სურათებს.

## იალაღზე

ტყეს მოშრიალეს შევყურებდი
ჩაფიქრებული,
ასე მეგონა, თვალუწვდენი
იყო ედემი,
დასციმციმებდნენ არე-მარეს
ვარსკვლავთ კრებულნი,
ბებერ მუხაზე შემომსხდარნი
თვლემდნენ ქედნები.
ყველა სულდგმული დაქანცული
მთელი დღის ჯაფით,
ძილს მისცემოდა კოინდარზე
მშვიდად და ამოთ,
ციცინათელები სიჩუმეში
ბრწყინავდნენ ღამით,
ცაზე მთვარე ჩნდა დაღეული
და ულიმღამო...

...უბრალო ბიჭმა ეს სახელი
აქ მოიპოვა,
დაცვარულ ბალახს ორთქლი ასდის,
ნაბადს ზედ გაშლის;
მწყემსი შავტუხა იალაღზე
სდგას შეუპოვრად,
ხალხის სიმდიდრეს ისე უვლის,
როგორც მამა შვილს.

დაუღალავი ვაჟკაცები
კვლავ სისხამ დილით,
ცვრიან მდელოზე ცხვრებს ხალისით
ერეკებიან,
შებინდებისას, როცა მთების
გაწვება ჩრდილი,
კოცონს ანთებენ და ფანდურზე
ლექსებს მღერიან.



# მალე შეხვედრამდე დიდ სცენაზე

ნანა ჯაფარიძე



ვახტანგ ჭაბუკიანი კარგა ხანია სათავეში უდგა თბილისის საბალეტო სტუდიას. 1957 წელს დადგა საკითხი სტუდია გადაკეთებულიყო სასწავლებლად. ახლადდაარსებულ სასწავლებელს გადასცეს პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე შენობა.

ვახტანგ ჭაბუკიანი ბიჭების ჯგუფს ამეცადინებს. გასაოცარია ამ დიდი ხელოვანის ენერგია! ჭეშმარიტად ჭაბუკური გატაცებით გადასცემს იგი თავის ცოდნას ახალგაზრდებს, დაჟინებით მოითხოვს მათგან გაიმეორონ მისი სწორუპოვარი ტექნიკის ყველა დეტალი. ეს კი ძალიან რთული საქმეა და მაინც ხანდახან ნუგზარ მახათელის, გივი აბესაძის



ფოტო ო. თურქიასი

და სხვათა პირუეტებსა და არაბესკებში გაიელვებს ხოლმე დიდი მასწავლებლის ცეკვის ხელწერა, მისი მოძრაობის სილაღე და სითამამე.

ვახტანგ ჭაბუკიანმა პირველად საბჭოთა ბალეტში და, საერთოდ ბალეტში, წინა პლანზე წამოსწია მამაკაცის როლი. მან მშობლიური ცეკვის ორნამენტებით გაამდიდრა კლასიკური ცეკვა და ბალეტის ტრადიციებს შემატა ახალი, ნოვატორული, თითქმის განუმეორებელი ტექნიკური არსენალი. ამიტომ როცა ჭაბუკიანის აღსაზრდელებს ვუყურებთ, გვაოცებს სწორედ ეს ხაზგასმული სილაღე, ვაჟკაცური შემართება და შტრიხებისა და მოძრაობის იმპროვიზაცია.

სტუდიის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში სერაფიმა ვიკუა ომის წინ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ლენინგრადში გაემგზავრა. ბლოკადის მძიმე დღეებში სერაფიმა თხრიდა სანგრებს და მორიგეობდა სახურავზე, ჭრაქის შუქზე ქსოვდა წინდებს და თბილ ხელთათმანებს მეომრებისთვის. შიმშილობდა და მერე საოცრად დაღლილი, გამხდარი და გათოშილი პატარა ქალი სახელდახელოდ გამართულ სცენაზე კლასიკურ ვარიაციებს ცეკვავდა საბჭოთა მეომრებისათვის. ლენინგრადმა გაუძლო ბლოკადას, პატარა ქალმაც გაუძლო განსაცდელს და მერე ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილი დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს, სტუდიას, სადაც დღესაც ჩვეული მონდომებით, საქმისადმი სიყვარულით განაგრძობს მოღვაწეობას.

აი ისიც, მეორე კურსელთა გაკვეთილზე, მკაცრი, ენერგიული. ისე მსუბუქად მოირხევა დარბაზში, გეგონებათ მოფრინავსო.

ნელი შურღაია, ლილი ფესიკი, ირა ოკონევა, მალხაზ ბუთხუზი, ვახტანგ ქაჩიბაია თვალებში შეჰყურებენ მასწავლებელს. მერე კი მათი რიგია, სერაფიმა ვიკუას არ გამოეპარება არც ერთი არაზუსტი მოძრაობა. მასწავლებლის თვალებში კვლავ მკაცრი შუქი დგას. ისევ მეორდება თითეული მოძრაობა. იხვეწება ყველა ილეთი.

— არ ვარგა... ერთხელ კიდევ... უფრო თამამად! მსუბუქი ნახტომი გააკეთეთ!..

გოგონების მოძრაობა ჰაეროვანი და დახვეწილია, მაგრამ სერაფიმა ვიკუა კიდევ უფრო მეტს მოითხოვს მათგან. ახლა ვაჟები იწყებენ ცალფეხზე ბზრიალს.

დიდხანს გრძელდება კლასიკური ცეკვის ილეთების დახვეწა. დიდი ხელოვანი რომ გახდე, შრომა უნდა გიყვარდეს. ეს იციან სერაფიმა ვიკუას აღსაზრდელებმა, ამიტომ ვარჯიშობენ ასეთი ჯიუტი მონდომებით. წინ ხომ ხელოვნების დიდი, გრძელი და რთული გზაა.

ქურთი გოგონა — ბალერინა! მისი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მარია ბულიგინა სიყვარულით გვიამბობს თინათინ სადოევას შესახებ. მათ ახლა საწარმოო პრაქტიკა აქვთ. ისინი სულ პატარები არიან. მეორე კლასელი გოგონები პეპლებივით დაფარფატებენ დარბაზში. მათი მოძრაობა საკმაოდ რთული და ჰარმონიულია. ესმა სიდამონ-ერისთავის, ნანა ბაკურაძის, გალინა ტოლსტოვას გვერდით დაგოგმანებს ქურთი გოგონა თინათინი. პატარა ბალერინა უკვე ოცნებობს „ჟიზელში" და „გედების ტბაში" იცეკვოს. პატარა ესმას, ნანას და თინათინის მსგავსი მოკრძალებული გოგონები იყვნენ ოდესღაც ეთერ ჭაბუკიანი, ლილიანა მითაიშვილი, ირინე ჯანდიერი. ბექარ მონავარდისაშვილმა, ვახტანგ გუნაშვილმა, ძმებმა ძნელაძეებმა ამ სტუდიაში მიიღეს პირველი ნათლობა და ახლა საქვეყნოდ აღიარებული მოცეკვავეები არიან. მათ ამერიკაშიც, ავსტრიაშიც აღტაცებით ხვდებოდნენ. ისინი შეიყვარეს ლენინგრადში, მოსკოვში და ყველგან, სადაც თითოეული ფეხის ცერებზე დატრიალება მოასწრეს.

ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან სტუდიის აღზრდილი ახალგაზრდები, ძნელია ყველაზე რამე სთქვა, ან უბრალოდ ყველა ჩამოთვალო. მთავარი კი ის არის, რომ ქართულ ბალეტს ღირსეული ცვლა ეზრდება.

სტუდია უახლოეს ხანში წარმოადგენს „დონ კიხოტის" მეოთხე და „გედების ტბის" მესამე აქტს. სტუდიადამთავრებულნი, ახლა უკვე პედაგოგები ქ. ნადარეიშვილი, ა. წერეთელი, ს. ნონიაშვილი, მომდევნო თაობის სტუდიელები — დ. ხუციშვილი, ს. ხოშტარია და სხვები მხარში უდგანან გამოცდილ პედაგოგთა უფროს თაობას.

სასწავლებლის დარბაზებში ვარჯიში გრძელდება. სულ მალე გამოიკვეთება მათი ხასიათები, შემოქმედებითი შესაძლებლობის კონტურები. მალე შეხვედრამდე დიდ სცენაზე, სტუდიელებო!





ფოტოებზე: მეცადინეობის საათებში.



# გერონტი ქიქოძის თხზულებათა სამტომეულის გამოცემის გამო

ალ. სიგუა

გერონტი ქიქოძის თხზულებათა პირველ ტომს წამძღვარებული აქვს ავტორის პორტრეტი, შესრულებული უჩა ჯაფარიძის მიერ. მხატვარს ცოცხალი გერონტის სახე შემოუნახავს: დიდი და განიერი შუბლი, ოდნავ მოჭუტული თვალები, მკვეთრი და სტოიკური სახე, ის თითქოს ჩაფიქრებული შეჰყურებს სამყაროს და იმეორებს მის მიერ დაწერილ სტრიქონებს:

„კოზიმო მედიჩიმ სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, მან თავისი თავი ვილაში გადააყვანინა, სადაც ის კარგა ხანს ლოგინში იწვა დაფიქრებული და თვალდახუჭული.—რად დაფიქრებულხარ და თვალები რად დაგიხუჭავს?—ჰკითხა მას ცოლმა.—უცნაური ქალი ხარ,—უპასუხა კოზიმომ, — შენ ორი კვირით ადრე იწყებ ფუსფუსს, როდესაც ზაფხულში ქალაქიდან აგარაკზე აპირებ გადასვლას, ნუთუ მე არ უნდა დავფიქრდე, როდესაც სხვა ქვეყანაში გადასასვლელად ვემზადები. თვალებს კი იმისათვის ვხუჭავ, რომ სიბნელეს შევაჩვიო. შემდეგ მან მოახმობინა გამოჩენილი ფლორენციელი ჰუმანისტი მარსილიო ფიჩინო და სთხოვა, პლატონის დიალოგები წამიკითხე ხმადაბლაო. ამ კითხვის დროს მან სამუდამოდ დაიძინა“.

გერონტი ქიქოძე ფართო დიაპაზონის შემოქმედი იყო, მან განუმეორებელი კვალი დააჩნია ქართულ კრიტიკულ აზროვნებას და მის ისტორიას. იგი ერთნაირი სიღრმით ერკვეოდა, როგორც ლიტერატურის თეორიის საკითხებში, ისე ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და არქიტექტურის პრობლემებში. ამიტომ ყოველი მისი წერილი ერთნაირი ცოდნითა და შთაგონებით არის დაწერილი, ეხება იგი როდენის შემოქმედებას, ბექა ოპიზარის ქმნილებებს, მოცარტის მუსიკას, თუ ქართული ენის საკითხებს.

გერონტი ქიქოძე იყო უშუალო გამგრძელებელი XIX საუკუნის ქართული რეალისტური და პროგრესული კრიტიკისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა.

წინამდებარე სამტომეულში, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა, მოთავსებულია გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილები. ყველა ამ წერილის ძირითადი პათოსი—ესაა ხაზგასმა ქართული კულტურის თვითმყობადობისა და მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობისა. „ყოველი ესთეტიკური კულტურა, — წერს კრიტიკოსი, — ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას“.

ამ ტომებში მრავალი საინტერესო წერილია დაბეჭდილი, მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია „თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის“, „სიბრძნე ბალავარისა“, „სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, „დავით გურამიშვილი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკი წერეთელი“. რუსთაველის გენიას კრიტიკოსი განიხილავს, როგორც უდიდეს მოვლენას, რომელმაც ქართული ლიტერატურა მსოფლიოს შარაგზაზე გამოიყვანა.

როდესაც გერონტი ქიქოძე წერს ძველი ქართული კულტურის ძეგლებზე—ვარძიაზე, თუ ჯვრის მონასტერზე, იყალთოზე, თუ ატენის სიონზე, იმდენად ნათლად და დამაჯერებლად აღწერს შენობის არქიტექტურულ სტილსა და განლაგებას, რომ ასე გგონიათ თქვენ გესაუბრებათ ის ხუროთმოძღვარი, რომელმაც ვარძია, თუ ჯვრის მონასტერი ააშენა. აი სწორედ აქ ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია და პოეტური ფანტაზია.

გერონტი ქიქოძე ქართულ ფრესკებზე ამოიკითხავდა ხოლმე ქართველი ხალხის დიდ სულიერ მღელვარებასა და ფიქრებს, ქვისა და მარმარილოს ძეგლებში ის ხედავდა ჩვენს შორეულ წინაპართა სულიერ სიმტკიცეს და ვაჟკაცობას. მე ის მინახავს ვარძიასა და ჯვრის მონასტერში, როგორ განცვიფრებული შეჰყურებდა ამ განუმეორებელი ხუროთმოძღვრების ნიმუშებს, როგორ წყნარად და ფეხაკრეფით დადიოდა ეზოში, თითქოს ეშინოდა, რომ მისი ნაბიჯები დაარღვევდნენ გარდასულ საუკუნეთა სიჩუმესა და მყუდროებას. საერთოდ კი მას მარტო უყვარდა წასვლა და ისტორიული ძეგლების ნახვა, რომ უფრო მძაფრად ეგრძნო სინატიფე ქვაში ამეტყველებულის საიდუმლოებისა. გერონტი ქიქოძე წერდა: „მარმარილოს ნატეხი, გრანიტის ან ბაზალტის ზოდი, ბროლის კრისტალი საიდუმლოებით აღსავსე არსებები არიან, მათში სიცოცხლის ძარღვი ფეთქავს“.

გერონტი ქიქოძე არა მარტო ქართველ მწერლებს უძღვნიდა ღრმა ფილოსოფიური ცოდნით დაწერილ კრიტიკულ წერილებს, არამედ ასეთივე სიყვარულით და ღრმა ცოდნით წერდა შექსპირის, ვოლტერის, ბალზაკის, სტენდალის, ჰაინეს, დიდროს, გრიბოედოვის და ფუჩიკის შესახებ. ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობა იულიუს ფუჩიკის ლეგენდარულ გმირობას. იგი წერს: „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ ისეთი წიგნია, რომელსაც შეუძლია ბევრი სკეპტიკოსი და მიზანტროპი განკურნოს და მხნეობა მიანიჭოს ბევრ სულმდაბალ ადამიანს, აქ გამოთქმულია ვაჟკაცური სიტყვები, რომელთაც არავითარი პათეტიკური და სათეატრო ჟესტი არ სჭირდება. ესაა ეპოქის დიდი დოკუმენტი, მას ბევრი ბადალი არ ჰყავს თანამედროვე მწერლობაში“.

ზემოხსენებულ გამოცემაში დაბეჭდილია ავტორის შესანიშნავი მონოგრაფია „ერეკლე მეორე“, აქვეა ნარკვევები „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ და მოგონებები „განთიადიდან განთიადამდე“. ძნელია ამ პატარა წერილში ხსენებული ნაწარმოებების სრულყოფილი მიმოხილვა, მხოლოდ ერთი შეიძლება აღვნიშნოთ. გ. ქიქოძის მონოგრაფიაში ერეკლე სრულყოფილი სახით ჩანს, როგორც დიდი სარდალი, ოთხმოცი ომის მომგები და გადამტანი, გამჭრიახი გონების პატრონი, ფართო და ევროპული მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს გ. ქიქოძის ნარკვევებს მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ხოლო მისი მოგონებანი—ქართული მემუარული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება.

გერონტი ქიქოძე ნათელი აზროვნების მწერალი იყო, წერის დახვეწილი სტილი, ქართული ენის ბრწყინვალე ცოდნა,—აი რა ხიბლავს მკითხველს მისი წერილებისა და მონოგრაფიების კითხვის დროს. ეს იყო ღრმა ერუდიციით, ენციკლოპედიური განათლებითა და მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული კულტურის აყვავების საქმეს შესწირა.

გერონტი ქიქოძის სამტომეულს ყველა მკითხველი ღრმა სიამოვნებითა და გატაცებით წაიკითხავს.

# «ხვანჭკარის» დიდი ჯილდო

ქართულ ღვინოებს შორის ხვანჭკარას საპატიო ადგილი უჭირავს. იგი საყოველთაოდ სახელგანთქმული ნახევრადტკბილი ნატურალური ღვინოა. ხვანჭკარა რაჭის მხოლოდ რამდენიმე სოფელში მოდის (ტოლა, ხვანჭკარა და ჩორჯო).

სახელი — ხვანჭკარა — ამ ღვინოს 1926 წელს ეწოდა. ადრე კი „ყიფიანის ღვინო“ ერქვა. მისი ყველაზე ძველი და სწორი სახელწოდებაა „ალექსანდროული“. ალექსანდროული სოფ. ხვანჭკარის მიკრორაიონში გავრცელებული ვაზის ჯიშია, ხელსაყრელ ნიადაგზე და კლიმატურ პირობებში 30 პროცენტამდე შაქარს აგროვებს.

ამ მიკრორაიონში უხსოვარი დროიდან შემუშავებულია ღვინის დაყენების თავისებური წესი, რამაც თავის მხრივ განაპირობა „ყიფიანის ღვინის“ უდიდესი პოპულარობა.

ყურძენს გვიან შემოდგომამდე, „ხაშრის“ დადებამდე ამოწმებდნენ, სანამ არ დაჭკნებოდა, რთველს არ დაიწყებდნენ. რთვლის დროს მტევნებს ახარისხებდნენ. ყურძენი ხის საწნახელში იწურებოდა, მაშინვე ხდებოდა „წვენების“ შერჩევა, „საძველოდ შუაწვენს გამოიღებდნენ“. ქვევრიდან ტკბილი მაშინვე ამობრუნდებოდა და მთლიან ჭაჭაზე საწნახელში 7-8 დღე გაჩერდებოდა. დუღილის დამთავრების შემდეგ ახალ ღვინოს ქვევრში ჩაასხამდნენ. გაივლიდა თუ არა ორი თვე, პირველად გადაიღებდნენ, რასაც „ძირის გამოცვლა“ ერქვა. მეორე გადაღება — „გადაწმინდავება“ გაზაფხულზე, ატმის აყვავებამდე ხდებოდა, მესამე — ვაზის ყვავილობამდე, ხოლო მეოთხე — ყურძნის „შეთვალებისას“. ღვინო დაძველებულად მხოლოდ 5 წლის შემდეგ ითვლებოდა. ძველ ოჯახებში 15-20 წლის ღვინოსაც შეხვდებოდით.

ღვინის „საძველოდ“ დაყენების წესი საკუთარი, კომერციული მიზნებისათვის გამოიყენეს სოფ. ხვანჭკარასა და ტოლაში მცხოვრებმა ყიფიანებმა. ადგილობრივი ღვინის სახელის მოხვეჭისათვის მათ ბევრი რამ გააკეთეს. კონსტანტინე და ქაიხოსრო ყიფიანებმა შესძლეს ამ ღვინის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა. „ყიფიანის ღვინო“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების პრესაში უკვე პოპულარული ხდება.

1900 წელს ბათუმის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ლუარსაბ და ქაიხოსრო ყიფიანების მამულებიდან გაგზავნილმა ღვინომ მედალი მიიღო წარწერით „სანაქებო“, ეს არის „ყიფიანის ღვინის“ ჩვენთვის ცნობილი, პირველი ოფიციალური ჯილდო. 1907 წელს ლუარსაბ და დიმიტრი ყიფიანების ღვინო გაგზავნილ იქნა ბელგიის ქალაქ ოსტენდეში, საერთაშორისო გამოფენაზე. ჭაშნიკმა უმაღლესი შეფასება — მედალი „დიდი ჯილდო“ დაიმსახურა, აგრეთვე მისცეს სამახსოვრო ჟეტონი ბელგიის მეფის ლეოპოლდ მეორის გამოსახულებით.

და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ „დიდი ჯილდოს“ არსებობა დღემდე უცნობი იყო. აღნიშნულ პრიზს თითქმის 60 წლის განმავლობაში ინახავდა ნესტორ წერეთლის ქვრივი, ოლღა ნესტორის ასული ვარდანაშვილი-წერეთელი. მასზე სანახევროდ საკუთრების უფლება ჰქონდათ ვარლამ პაპუაშვილის შთამომავლებსაც. პედაგოგმა ნინო ვარლამის ასულმა პაპუაშვილმა ჯერ ფოტოპირები მოგვაწოდა, ხოლო 1965 წლის ივლისში ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა მედალი „დიდი ჯილდო“, დიპლომი, ჟეტონი და რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი.

ლევან ფრუიძე

# ჩა ხედვა ქვეყანაში

ვინ არ იცნობდა ძველად ჩვენში კოდელ ნინოს. ოდესღაც ამ მკითხავისა და „ჯადოქრის“ სახელი უფრო პოპულარული იყო, ვიდრე რომელიმე გამოჩენილი დოსტაქრისა. გაშლიდა კოდელი ნინო ბანქოს ქაღალდს, მერე გახედავდა ცას მიბნედილი თვალებით და გაოგნებული, უბირი თრიალეთელი მწყემსის თვალწინ მთელი მისი მომავალი ფეხქვეშ დაფენილი ფარდაგივით გაიშლებოდა, ან ჩააქრიდა მკითხავი ერთ ჰიქა მღვრიე წყალში შავტარიან დანით ნახშირს, რაღაც გაუგებარს წაუბუტბუტებდა და „უკვდავების წამალიც“ მზად იყო.

„ჰაი დედასა! — თურმე გულში დაიკრავდა ხოლმე ხელს კოდელი „ჯადოქარი“, — არ მაფასებენ, თორემ ღმერთზეც მეტი შემიძლიან და ეშმაკზეც“. ეჰ, რა იცოდა ბეჩავმა კოდელმა დედაკაცმა, რომ გაივლიდა ბევრი ათეული წელი და მის ხელობას აუარებელი ახალი „ოსტატი“ გამოუჩნდებოდა, ისიც სად? ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში. დღეს, როცა საცოდავი ნინოს სახელიც აღარავის ახსოვს, ამ ქვეყნებში „ჯადოქრების“ მთელი კონცერნებია დაარსებული, რომლებიც ასე გასინჯეთ, პრიმიტიულ შავტარა დანით აღარ კმაყოფილდებიან და თანამედროვე ტექნიკის დონეზე მკითხაობენ. ავტომანქანები, თვითმფრინავები, პრესა, რადიო და ტელევიზია ამ მკითხავების სამსახურშია ჩაყენებული.

როგორც ახლახან გაზეთები იუწყებოდნენ, ინგლისში, ჰემპშირის საგრაფოს ტყეში გაიმართა „გრძნეული სულების“... შაბაში; მანქანებიდან გადმოდიოდნენ დარბაისელი ქალები და სოლიდური გარეგნობის მამაკაცები. მერე მოფრინდა ვერტმფრენი, საიდანაც გადმოვიდა შავებით მოსილი, კარგად ჩასუქებული ქალი. მას ალტაცების შეძახილებით შეხვდნენ. ეს გახლდათ ინგლისის მთავარი „ჯადოქარი“ მისს სიბილა ლიკი.

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ დაიწყო, მკითხავებისა და „ჯადოქრების“ შაბაშს კი არა, კონფერენციას ჰგავდა. დამსწრენი დარბაისლურად და საქმიანად იყოფდნენ გავლენის სფეროებს. შემდეგ მათ მიიღეს რეზოლუცია და დადეს პირობა, რომ ერთმანეთს პირიდან ლუკმას არ გამოსტაცებდნენ და ჩხუბითა და უთანხმოებით არ შელახავდნენ ურთიერთის ავტორიტეტს.

გაზეთების კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები და ტელევიზიის ოპერატორები მეზობელ ტყეში მოთმინებით ელოდნენ, როდის მოიცლიდა ინტერვიუს მისაცემად კონფერენციის პრესბიუროს უფროსი — „პრეს-ჯადოქარი“ მისს ელეონორა ბუნი.

მეორე დღეს გაზეთები წერდნენ: „დიდი ბრიტანეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო სატანის არმიის მოწინავე და კარგად ორგანიზებული რაზმის სახით, რომელიც აქ წარმოგზავნა როკაპებისა და ჯადოქრების ბრიტანულმა გაერთიანებამ. მის რიგებში 8 ათასზე მეტი წევრია. ინგლისის მთავარი ჯადოქარი მისს სიბილა ლიკი შაბაშზე ვერტმფრენით მოფრინდა. მან განაცხადა, რომ თუ ექიმები მოწოდებულნი არიან უმკურნალონ სხეულს, ჯადოქრებისა და მარჩიელების მიზანია სულის გადარჩენა“.

მაშინ, როდესაც ინგლისელი ექიმები გასულ წელს იძულებულნი იყვნენ რამდენჯერმე დაეტოვებინათ თავიანთი კლინიკები და საპროტესტო დემონსტრაციები გაემართათ დაბალი ხელფასების გამო, „ინგლისის მთავარი ჯადოქარი“ სიბილა ლიკი, რომ იტყვიან, ჰყვაოდა და განცხრომას ეძლეოდა. მისი ფინანსიური მდგომარეობა ბევრ ფაბრიკანტსაც კი შეშურდებოდა, მისი პოპულარობა კი — მრავალ კინოვარსკვლავს. მისს ლიკის სახელი და ფოტოსურათები ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებში უფრო ხშირად იბეჭდებოდა, ვიდრე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვილსონისა.

ინგლისელი ჯადოქრებიც, მათი ამერკელი, ფრანგი და ა. შ. კოლეგების მსგავსად გაერთიანებულნი არიან საკუთარ პროფკავშირში. მათ აქვთ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები და ჯადოქრობის შემსწავლელი კურსებიც კი. ჰემპშირის ტყეში შაბაშზე შეკრებილი როკაპები პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ გვხვდებან მოყვარული ჯადოქარი ქალებიც, რომლებიც დღისით კეთილგონიერი მეოჯახე დედები არიან, მთვარის შუქზე კი იხდიან ტანსაცმელს, მასთან ერთად იშორებენ ყოველგვარი კეთილგონიერების მომაბეზრებელ ნაჭუჭს და რაღაც უაზრო სიტყვების ღიღინით დილამდე ცეკვავენ აგიზგიზებულ კოცონებთან.

ერთ-ერთმა ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ამას წინათ შენიშნა, რომ „ინგლისი ყველაზე უიმედოდ დაავადებული ქვეყანაა ევროპაში“. გაფიცვებს მართავენ მეშახტეები და დოკერები, ქუჩებში პროტესტით გამოდიან ბინის დამქირავებლები, რომლებიც მოითხოვენ ბინის ქირის შემცირებას, ყოველწლიურად იზრდება უმუშევართა არმია. შეშფოთება და უიმედობა ისადგურებს ყოველ ბრიტანულ ოჯახში, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ არის ძველი ანგლო-საქსური სახელმწიფოს დასაყრდენი ციხე-სიმაგრე. სწორედ ამიტომ მისს ლიკსა და მის ავანჩავანებს სამუშაო თავსაყრელი აქვთ: ისინი ცდილობენ დაამშვიდონ თავიანთი აფორიაქებული კლიენტები და განარიდონ ყოველდღიურ საზრუნავს.

თუ პირქუშ შუასაკუნეებში სახელმწიფო და ეკლესია ცდილობდნენ ცეცხლითა და მახვილით ამოეძირკვათ მარჩიელობა, მისნობა და შავი მაგია, ჩვენს დროში, პირიქით, სწორედ სახელმწიფო და ეკლესია უწყობენ ხელს სატანის არმიის ესოდენ გამრავლებასა და გაძლიერებას. დასავლეთის ჟურნალ-გაზეთები ადგილს არ იშურებენ ჯადოქრებისა და როკაპების მიერ ჩადენილ „საოცრებათა“ აღწერისათვის, მათი ჰოროსკოპების ამოხსნისათვის. გულუბრყვილო მკითხველს თავზე ატყდება ცნობათა ზვავი იმათ წარმატებების შესახებ, ვინც თავისი საქმე მკითხავებსა და გრძნეულებს ანდო.

ეს არც ისე გასაკვირია. ჩვენს დროში ყველა ჯურის მისანი და წინასწარმეტყველი დასავლეთის სახელმწიფოების თანაშემწეებად გადაიქცნენ: ისინი ადამიანებს უქმნიან იმ ბედნიერი მომავლის ილუზიებს, რომლის მიცემაც არ ძალუძთ მათ მთავრობებს. ჯერ კიდევ პლეხანოვი წერდა, რომ „ადამიანები... ცაში გზას ეძებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ გზა მიწაზე დაკარგეს“. მშვენივრად ესმით ეს „სატანის არმიის“ წარმომადგენლებსაც. ცნობილი პარიზელი ასტროლოგი ქალი მადმუაზელ ბერტე ასე ხსნის თავის პოპულარობას: „ჩემი კლიენტები იმიტომ მოდიან, რომ მათ სადაზღვევო გარანტია უნდათ მომავალზე. რელიგიასა და სახელმწიფოს უკვე აღარ ძალუძთ მათთვის იმის მიცემა, რასაც ისინი ეძებენ“.

ალბათ სწორედ ამიტომ არის, რომ პარიზს ნამდვილი რეკორდი აქვს დამყარებული ქირომანტების, მკითხავებისა და ჯადოქრების სიმრავლის მხრივ. 1964 წელს საფრანგეთის დედაქალაქში „მოღვაწეობდა“ ათი ათასი მკითხავი, ესე იგი, ყოველ 800 პარიზელზე მოდიოდა ერთი „წინასწარმეტყველი“—ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე ექიმები და ხუთჯერ მეტი, ვიდრე მღვდლები. ამ ასტროლოგებს, მკითხავებსა და მაგებს ფრანგები ყოველწლიურად უხდიან 3 მილიარდ 600 მილიონ ფრანკს, გაცილებით უფრო დიდ თანხას, ვიდრე სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისათვის არის ბიუჯეტით გამოყოფილი.

მომავლის მკითხაობა საკმაოდ ძვირი ჯდება. ხელის გულის წაკითხვით ან ბანქოს ქაღალდით მარჩიელობა ღირს 50 დოლარი, ჰოროსკოპის შედგენა — 100 დოლარი. ასტროლოგია იმდენად სარფიანი საქმეა, რომ პარიზელი მკითხავების ორი მესამედი ზაფხულობით თავს აღარ იტკიებს, კეტავს საკუთარ კაბინეტს და კარზე ჰკიდებს ფირფიტას წარწერით: „შვებულებაში ვარ“. ბევრი სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანი ცდილობს გამოიცვალოს კვალიფიკაცია და შავი მაგიის მომგებიან გზას დაადგეს. ასე მოიქცა პოლიციის აგენტი ლუი რენო, რომელიც ამჟამად პარიზის ერთ-ერთი სახელგანთქმული მისანია.



# „ჩვენს განათლებულ საუკუნეში.“

სანამ „სატანის მსახურნი“ რივიერას პლაჟზე მზეს ეფიცხებიან, მათ მაგიერ ფრანგებს მათი გაზეთები უწევენ სამსახურს.

და აქაც, ისევე როგორც ინგლისში, ამ შარლატანების პირველი ხელისშემწყობი პრესაა. ზოგ ფრანგულ გაზეთში მთელი ფართობის 15 პროცენტი ჰოროსკოპებს უჭირავთ, სპეციალური წიგნაკები კი მოუთხრობენ მკითხველებს, თუ საფრანგეთისა და, კერძოდ, პარიზის რომელ რაიონებში ცხოვრობენ მომავლის ყველაზე უფრო კომპეტენტური წინასწარმეტყველები.

საფრანგეთის მოსახლეობის ამასწინანდელმა გამოკითხვამ გასაოცარი შედეგი გამოიღო: ფრანგების 58 პროცენტს სწამს თავისი „ზოდიაქოს ნიშანი“, 53 პროცენტი ყოველდღიურად „ჰოროსკოპებისაგან იღებს კონსულტაციას“, 23 პროცენტს კი სჯერა მარჩიელების.

პარიზელმა ფსიქოლოგმა პროფესორმა კუდერკმა გამოიკვლია „წინასწარმეტყველები“ და მათი „მუშტრები“ და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ამ შარლატანების კლიენტები არა მარტო მიამიტნი არიან... ისინი სულით ავადმყოფობის ზღვარზეც დგანან“.

საფრანგეთისა და ინგლისის არაერთი სასტუმროს პროსპექტებში უკვე გამოჩნდა ასეთი ცნობები: „აი უკვე 50 წელია, რაც ჩვენთან სხვენზე ცხოვრობს მოჩვენება—მაღალი, წითელყელსახვევიანი მოხუცი კაცი. ჩვეულებისამებრ, იგი გამოეცხადება ხოლმე მხოლოდ ამაღლებული და კეთილშობილი სულის ადამიანებს“. აბა ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ არ უნახავს ეს მოჩვენება?

მოჩვენებები ცხადდებიან ჰოსპიტლებში, რათა შეატყობინონ ექიმებს, რომ ავადმყოფის მდგომარეობა უიმედოა, მოუთხრობენ პოლიციელებს, თუ სად იმალება ბოროტმოქმედი, უჩვენებენ ლატაკებს, თუ სად მარხია განძეულობა. ერთი სიტყვით, ჩვენს განათლებულ XX საუკუნეში ისინი ასრულებენ მთელ რიგ „სასარგებლო“ სამუშაოებს, რის განხორციელებაც ჯერ კიდევ არ ძალუძს ადამიანთა უსუსურსა და საცოდავ მოდგმას.

და რა უილბლო, საცოდავ მაჯლაჯუნად იგრძნობდა თავს კოდელი ნინო, ერთი წამით რომ გაცოცხლებულიყო და თავის დასავლეთელი კოლეგებისათვის გადმოეხედა!

ბიზნესი ბიზნესია, და იმისათვის რომ კბილის პასტაზე ან მოჩვენებებზე ფული აკეთოთ, სულაც არ არის საჭირო რჩევისათვის ვარსკვლავებს მიმართოთ.

ა. დალაქიშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# შეხვედრა



აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი

თენგიზ გიორგაძე

ორი განუყრელი მეგობარი, აკადემიკოსები — გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე თითქმის ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. თუ პირადად ვერა, ტელეფონით მაინც შეეძრახებიან ურთიერთს.

— გიორგი, ერთი სათხოვარი მაქვს, — მოსვლისთანავე უთხრა აკაკი შანიძემ გიორგი ახვლედიანს, როცა მის ბინაზე შემისწრო, — თუ შეიძლება შენს სტუმართან ჭადრაკი მათამაშე. მინდა ვიცოდე, რა ძალით ვარ აღჭურვილი. სხვათაშორის, ოსტატმა მიხეილ შიშოვმა, რომელსაც შევხვდი მის ნათესავთან, მითხრა — კარგი მეორეთანრიგოსანი ხარო. მაგრამ ამაში ვანო იმნაიშვილი ვერ დავაჯერე და ვერა!

გიორგი ახვლედიანმა ყურადღებით მოუსმინა მეგობარს და გაკვირვებით შეეკითხა:

— შენ მართლა გინდა პაექრობა?

აკაკიმ გაიცინა:

— ნამდვილად ასეა, ჩემო გიორგი, და, რაც მთავარია, მსაჯი შენ იქნები. ახლა ნუღარ ვაყოვნებთ, წავიდეთ ჩემსას.

გიორგიმ ჩაიცვა პალტო, მოიმარჯვა ხელჯოხი და გზას გავუდექით.

— კაცმა რომ გკითხოს, „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისათვის დრო არ მყოფნისო. ვინ დაიჯერებს, რომ ახლა საჭადრაკო მატჩის გამართვას ვპირებ!

— ხანდახან დაუჯერებელიც უნდა დაიჯერო. ბოლოს და ბოლოს, შემთხვევა მეძლევა, გამოვცადო ჩემი „თანრიგოსნობა". არა, ჩემო გიორგი, უნდა ვიბრძოლო, მორჩა და გათავდა, — კვლავ სიცილით თქვა აკაკიმ.

აკაკი შანიძის კაბინეტი პირით-პირამდე სავსე იყო წიგნებითა და ხელნაწერებით, კატალოგებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

— დაბრძანდით, სტუმრებო, — მიგვიპატიჟა მასპინძელმა და პატარა მაგიდიდან წიგნები აალაგა. — ეს არის ჩემი საჭადრაკო მაგიდა, ჭადრაკი უჯრაში მაქვს შენახული.

— ეს მაგიდა და ჭადრაკი როდის შეიძინეთ? — ვკითხე მასპინძელს..

— 1925 წელს ვიყიდე. მოგწონთ?

მაგიდა კოხტა იყო, ჭადრაკის ფიგურები — სტაუნტონის სტილისა. გავშალეთ ჭადრაკი. კენჭის ყრისას თეთრები აკადემიკოსს შეხვდა. დაიწყო ჩვენი მატჩიც.

...ჭადრაკისადმი სიყვარული ორივე მეცნიერს ბავშვობიდანვე მოსდევთ. გიორგი ახვლედიანს თამაში ასწავლა მისმა ბებიამ ფოტინე ჩიქოვან-ასათიანმა სოფელ დერჩში (წყალტუბოს რაიონი), სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა გიორგიმ. ბებია ფოტინე საკმაოდ ცნობილი მოჭადრაკე გახლდათ რაჭა-ლეჩხუმში.

— ჭკვიანი მოხუცი იყო, — იგონებს შვილიშვილი. — ბევრი იცოდა, ბევრს კითხულობდა. ჭადრაკის თამაში მარტო ახლობლებს კი არა, სოფლის სხვა ბავშვებსაც ასწავლა.

აკაკი შანიძე ჭადრაკს ქუთაისის პანსიონში ეზიარა. გატაცებით თამაშობდა კლასიკურ გიმნაზიაში სწავლისას. იქ მისი მეტოქეები იყვნენ კლასის დამრიგებელი პ. წულუკიძე და ახლო მეგობარი ნ. მახვილაძე (შემდგომ გამოჩენილი ექიმი, პროფესორი).

პირველი მსოფლიო ომის წლებში ახალგაზრდა გიორგი ხარკოვის ციხეში დაამწყვდიეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. აი, აქ გაიხსენა მან ჭადრაკი — პურის გულიდან გამოძერწა ფიგურები, ხოლო რუხ ქაღალდზე დაფა დახატა. საკანში მოჭადრაკეებიც აღმოჩნდნენ და თამაში გაჩაღდა.

აკაკი შანიძე კი, პეტერბურგში სწავლის დროს, თავისუფალ საათებს საჭადრაკო კლუბში ატარებდა.

— ერთხელ ფშავში, სოფელ ხორხში ვმასწავლებლობდი, — გაიხსენა

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## რომის მხსნელთა შთამომავალნი

ჯერ პატარა ცნობა პლუტარქეს წიგნიდან.

გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი (46—126 წ. წ.) აღწერდა როგორ შეესიენ გალები რომს მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდეგ განაგრძობდა:

„გალები უკვე ემზადებოდნენ აცოცებულიყვნენ ქალაქის კედლებზე და თავს დასხმოდნენ მძინარე ყარაულებს. ისე ჩუმად მიეპარნენ, რომ ვერც ადამიანებმა, ვერც ძაღლებმა ვერაფერი ვერ გაიგეს. მაგრამ ქალღმერთ იუნონას ტაძარში რომაელებს მოთავსებული ჰყავდათ საღვთო ბატები, რომლებსაც ადრე გულუხვად ჰკვებავდნენ; ახლა კი, ომის დროს, როცა საჭმელი ადამიანებისათვის აღარ იყო, ბატებს ყურადღებას აღარავინ აქცევდა და ისინი შიმშილობდნენ... ეს ფრინველები ბუნებით ისედაც მფრთხალი არიან, ხოლო შიმშილმა სულ წაართვა მათ ძილიც და სიმშვიდეც. მათ უმალ იგრძნეს, რომ გალები ახლოვდებოდნენ და ისეთი ყიყინი ასტეხეს, მთელი ქალაქი გაააღვიძეს". რომაელები წამოიშალნენ და ქალაქში შემოსული მტერი განდევნეს.

მას მერე ათასეული წლები გავიდა, და აი, რომის მხსნელ ბატებს ახალი საქმე გამოუჩნდათ. ისინი ახლა სპირტით მოვაჭრეთ ქონებას ყარაულობენ. დომბერტონში (ინგლისი) უზარმაზარ საწყობებს, რომლებშიც მილიარდი დოლარის ღირებულების ვისკი ინახება, საიმედოდ იცავს ელექტრული სისტემის სიგნალიზაცია, შეიარაღებული რაზმი და... 27 ბატი.

ბატები მცირეოდენ ხმაურზეც კი ისეთ გაშმაგებულ ყიყინს ასტეხენ ხოლმე, რომ ყველაზე გულად ქურდებსაც აშინებენ.



## საიდუმლო ენა

ცნობილი ფრანგი მწერალი ბენჟამენ კონსტანი (1767-1830 წ.), რომელმაც ფრანგულ ენაზე თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავი კლასიკური ნიმუშები, ბავშვობის წლებში უცხო ენების შესწავლისადმი უკიდურეს სიძულვილს იჩენდა. რა არა სცადეს მასწავლებლებმა, მაგრამ ვერ იქნა და ბავშვი ამ საგნებით ვერ დააინტერესეს.

ბოლოს მასწავლებელმა ბავშვს ჩუმად უთხრა: — ჭირსაც წაუღია ეგ ენები, რათ გვინდა, მოდი, ჩვენ თვითონ გამოვიგონოთ ახალი, საიდუმლო ენა, რომელიც მარტო ჩვენ გვეცოდინება!

ამ წინადადებამ ბიჭუნა გაახარა. მან დაიწყო ოცნება იმაზე, რომ იგი გახდებოდა ავტორი ახალი, ყველასათვის უცნობი ენისა, რომელიც მსოფლიოში ბენჟამენ კონსტანის ენის სახელწოდებით იქნებოდა ცნობილი.

მასწავლებელმა პირველად გამოიგონა ანბანი — მეტად ორიგინალური. შემდეგ მათ ერთად დაიწყეს ლამაზი და კეთილხმოვანი სიტყვების შედგენა. ბოლოს შეუდგნენ გრამატიკის კანონების ჩამოყალიბებას. გამოვიდა მეტად ლამაზი, მდიდარი და მოქნილი ენა, რომელიც კონსტანმა სრულყოფილად შეისწავლა.

მაგრამ იცით რა გამოირკვა ბოლოს? ეს ენა თურმე ახალი არ იყო, ეს გახლდათ ძველი ბერძნული ენა, ენა ჰომეროსისა და ესქილესი.



## საათი იხმრის ხელყუმბარას

ერთმა იტალიელმა გამომგონებელმა ორიგინალური კონსტრუქციის მაღვიძარა საათი დაამზადა. ეს საათი პირველად ჩვეულებრივად რეკავს, მაგრამ თუ თქვენ ღრმად გძინავთ და გაღვიძებას არ აპირებთ, საათი ძაღლივით იწყებს ყეფას, შემდეგ, მანქანის საყვირივით გაჰყვირის, თოფის სროლის ხმას გამოსცემს, და ბოლოს, საათიდან გაისმის აფეთქების შემაზრზენი ხმა, რომელიც ხელყუმბარის აფეთქებას მოგვაგონებს. მოდით და ყოველივე ამის შემდეგ ნუ გამოიღვიძებთ!

# ჭადრაკის დაფასთან

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, — იქ არავინ იცოდა ჭადრაკის თამაში. არც ჭადრაკი გვქონდა. ერთ ფშაველს ჩემი ესკიზებით ხიდან გამოვათლევინე და შემდეგ ბავშვებს ვასწავლე თამაში. ყველა მიმადლოდა. სხვებზე უფრო მე ვიყავი კმაყოფილი, რომ ამდენი მთიელი ვაზიარე ჭადრაკის სიბრძნეს.

ორივე მეცნიერს წარსულში ბევრ სახელოვან მამულიშვილთან უპაექრიათ ჭადრაკში. მაგალითად, გიორგი ახვლედიანი არაერთხელ შებმია ანდრია რაზმაძეს, გიორგი ნიკოლაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს და სხვებს. ისინი აკაკი შანიძის მეტოქენიც ყოფილან.

— ჭადრაკის დაფასთან ძალიან ვერთობი, — მითხრა აკაკი შანიძემ, — ზოგჯერ ასეთი „დროსტარება" 7-8 საათს გაგრძელებულა.

— ადრე მეტი ხალისით ვთამაშობდი, — ამბობს გ. ახვლედიანი, — მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა და ჭადრაკი სწრაფად მღლის. სამაგიეროდ სისტემატურად ვადევნებ თვალს მოჭადრაკეთა ასპარეზობას, ჭადრაკის ახალ ამბებს, ნონა გაფრინდაშვილის თავგამოდებული ქომაგი ვარ.

მართლაც, გიორგი ახვლედიანმა ნონას მოსკოვში დეპეშით მიულოცა მსოფლიო პირველობის მოპოვება, თბილისში ჩამოსულ ქალიშვილს კი სამახსოვროდ ინდოელთა (ჭადრაკის სამშობლოს) ბუდას ძვირფასი გამოსახულება უსახსოვრა. გიორგი ახვლედიანს ახლა ჩვეულებად აქვს ერთხელ მაინც თვალი გადაავლოს დიდ ასპარეზობათა სარბიელს.

აკაკი შანიძე გულშემატკივრობაში როდი ჩამორჩება მეგობარს. აი ამის ერთი მკაფიო ფაქტი — სსრ კავშირის ვაჟთა XXVI საჭადრაკო ჩემპიონატს (თბილისი, 1959 წ.) სპეციალური აბონემენტით ესწრებოდა.

— მინდოდა ახლოს გავცნობოდი დიდოსტატებს და მათ პარტიებს, — თქვა აკაკიმ, — ელისაბედ ბიკოვასთან ნონას მატჩის დროს მორიგი პარტიის შედეგის გაგებამდე არ ვიძინებდი. ზოგჯერ კიროვის სახელობის პარკში წავსულვარ, პარტიის გარჩევაზე დასასწრებლად.

მეცნიერი ჭადრაკის თეორიის საკითხებშიც ერკვევა. მას გაურჩევია კაპაბლანკას პარტიები. მაგრამ მისი ყველაზე დიდი მოწონება დაუმსახურებია ოსტატ ა. ბლიუმელფელდის პატარა წიგნს „კომბინაციები და სახეები", რომელიც შინ აქვს, ბიბლიოთეკაში.

— არ მიყვარს სვლების დაბრუნება, — ამბობს აკაკი შანიძე, — მას ვერც მოწინააღმდეგის მხრიდან ვიტან. ბრძოლა მუდამ უკომპრომისო უნდა იყოს.

1913 წელს აკაკი შანიძეს უმოგზაურია ძველი ნაქალაქარის — ანისის გასაცნობად. მან გაიხსენა, რომ ქალაქის ერთ-ერთ კარებს რატომღაც „საჭადრაკო" ერქვა.

აი, ჩვენი მატჩის ერთ-ერთი პარტიის დაბოლოება. მასში ნათლად ჩანს აკაკი შანიძის საჭადრაკო ძალა.



თეთრებს (აკაკი შანიძეს) უარესი პოზიცია აქვთ. 32. ...მb3-ის შემდეგ წაგების საფრთხის წინ იქნებიან. ამიტომ ისინი იწყებენ მძლავრ კონტრთამაშს მეფის ფრთაზე.

32. f4 მფe7? (დროის დაკარგვა. აუცილებელი იყო 32. ...მb3 33. ლh4 მფe8. ახლა თეთრები ეუფლებიან ინიციატივას) 33.f5! gf 34. ლg3! f4 35. კ:f4 კf6.

შავები თავს არიდებენ კუთა გაცვლას, რაც კიდევ უფრო გააქტიურებდა თეთრების ფიგურებს. მაგრამ თეთრები თვითონ ცვლიან შავუჯრედოვან კუს და ათანაბრებენ თამაშს.

36. კg5 კ:g5 37. ლ:g5+ მფd7 38. d4 (თეთრებმა აწყვეს კონტრთამაში) 38. ... მb3 39. კ:b3 კ:b3 40. მg3 ლb2. 41. მf5.

მეფე საიმედოდ დაცულია. თეთრებმა უვნებელყვეს მეტოქის მუქარები და პარტია ყაიმის ნავთსაყუდარს მიადგა.

41. ... ლd2 42. ლ:d2 ე:d2 43. de de 44. მფg3 f6 45. მe3 კf7 46. ეd1 ე:d1 47. მ:d1. ყაიმი.

— ძმაო აკაკი, შენ მართლა კარგი მოჭადრაკე ყოფილხარ, რაკი ამდენი ბრძოლის თავი გქონია, — შეაქო მეგობარი გიორგი ახვლედიანმა. — ახალგაზრდა რომ ყოფილიყავი, შეიძლება შენი მეტოქის მეფეს დაეყარა ფარ-ხმალი.

ჩვენს მასპინძელს სახეზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო თამაშითაც და შექებითაც.



### უცნაური ჰონორარი

1862 წელს საფრანგეთის ოპერის სოლისტი ქალბატონი ჟელი პოლინეზიის ერთ-ერთ კუნძულზე გაემგზავრა საგასტროლოდ. ერთხელ მან თავისი სახლის წინ უცნაური პროცესია დაინახა — რამდენიმე ათეული პოლინეზიელი მძიმე ტვირთის ქვეშ წელში მოხრილიყვნენ და ისე მოემართებოდნენ მისკენ. გამოირკვა, რომ სამი ღორი, 23 მარგალიტი, ბანანით სავსე 120 ვედრო, 120 ნესვი, 44 ქათამი, 500 ქოქოსის კაკალი, 1200 ანანასი და ამდენივე ფორთოხალი, რომლებიც კუნძულის მკვიდრთ მოჰქონდათ, ჟელის ჰონორარი იყო. მომღერალი ქალი ასეთმა ჰონორარმა ცოტა არ იყოს საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მის საშველად მოვიდა კოლონიური საქონლის დამამზადებელი კომპანია, რომელმაც ჟელის უცნაური ჰონორარი ბრჭყვიალა მონეტებზე შეუცვალა.

### ცხოვრება უსაათოდ

ერთმა ამერიკულმა საათების ფირმამ საინტერესო ცდა ჩაატარა: ფირმის მესვეურებმა დაითანხმეს სოფელ ნორგ-კონუეის მცხოვრებლები (ნიუჰემპშირის შტატი), რომ მათ ორი დღე-ღამის განმავლობაში „დროის გარეშე" ეცხოვრათ. სოფელში ყველა მაჯისა და ჯიბის საათები საიმედოდ დალუქეს, კედლისა და მაგიდის საათებს დროებით კონფისკაცია გაუკეთეს, საზოგადოებრივი სარგებლობის საათები შეაჩერეს.



პირველ დღეს თითქმის ყველა მოსწავლე ნახევარი საათით ადრე მივიდა სკოლაში. აირია სადილისა და ვახშმის დრო. მოზრდილები რაღაც მოუსვენრობის გრძნობამ შეიპყრო. ბევრი მათგანი იქამდე დაიბნა, რომ საქმეს გული ველარ დაუდო. ერთი სიტყვით, აირია მთელი ცხოვრება.

ამ ცდის მიზანი რეკლამა იყო: ადამიანს სჭირდება საათი, მაგრამ მან აუცილებლად ჩვენი ფირმის ნაწარმი უნდა შეიძინოს.



### ამოუცნობი საიდუმლოება

საფრანგეთში, ლაპლოს მახლობლად, ერთხელ უცნაური ამბავი მოხდა. მთის ფერდობზე ძოვებით მომავალ ცხვრის ფარას ჭექა-ქუხილმა გადაუარა. ფარას მეხი დაეცა. მან მაშინვე მოკლა ყველა შავი ფერის ცხვარი, თეთრი ცხვრები კი უვნებლად გადარჩნენ. ბუნების ამ უცნაური გამოცანის ზუსტად ამოხსნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

### მიცვალებულთა კლუბი

ლონდონში ექვს წელზე მეტია, რაც უცნაური კლუბი არსებობს. ეს კლუბი დააარსეს ადამიანებმა, რომლებიც ცოცხლობენ თავიანთი „სიკვდილის" შემდეგ. კლუბის წევრებად ჯერჯერობით ხუთი ადამიანია მიღებული. მათ შორის ორი ჯარისკაცია, რომლებიც მკვდრებად მიიჩნიეს და ბრძოლის ველზე მიატოვეს. თორმეტი საათის შემდეგ გონზე მოსულმა ჯარისკაცებმა შესძლეს ფრონტის ხაზი გადაელახათ, პოლკში მიხოხდნენ და თავიანთი „მკვდრეთით აღდგომით" პანიკა გამოიწვიეს მეგობრებში. კლუბის სამი წევრი ქალია. ერთ-ერთი მათგანია ქალ-




ბატონი პიტერი, რომელიც „გარდაიცვალა" ოპერაციის დროს და შვიდი საათის განმავლობაში მკვდარი ეგონათ. განსაკუთრებით საინტერესო ისტორია აქვთ დებს მორისონებს. ერთ-ერთი მათგანი მკვდრად მიიჩნიეს და მან რამდენიმე საათი გაატარა მორგში. როცა იგი გონზე მოვიდა და სახლში მივიდა, მისი და ისე შეშინდა, რომ გონება დაკარგა და სამი საათი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

# ამბები, ფაქტები, კურიოზები

## შემთხვევა საზღვარზე

კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი, იტალიის საზღვარზე გადასვლის დროს საბაჟოს თანამშრომლებმა ძალიან გააწვალეს. მას ტანსაცმელი გახადეს, ჯიბეები გადმოუბრუნეს და, ერთი სიტყვით, თავიდან ფეხებამდე გაჩხრიკეს.

ეს იმიტომ მოხდა, რომ სტრავინსკის ჩემოდანში აღმოჩენილი პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული მისი პორტრეტი საბაჟოს თანამშრომლებმა მიიჩნიეს სამხედრო სიმაგრეთა მონახაზად და თვითონ მუსიკოსი კი — მოხერხებულ ჯაშუშად.

## სპეციალისტის აზრით

სახელგანთქმული ფიზიკოსი ჰენრიხ ჰერცი ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სახარატო სამუშაოებით. როდესაც ამ ხელობის მასწავლებელმა ოსტატმა მრავალი წლის შემდეგ გაიგო, რომ ჰერცი პროფესორი გახდა, შენიშნა:

— რომ იცოდეთ, როგორ მწყდება გული, მისგან პირველხარისხოვანი ხარატი გამოვიდოდა!

## როდის მოკვდა მარტენი?

1875 წელს ფრანგმა ინჟინერმა პიერ-ემილ მარტენმა პირველად შესძლო ფოლადის ჩამოსხმა ახალი მეთოდით, რომელიც დღემდე მის სახელს ატარებს. გამოგონება ფართოდ იქნა გამოყენებული და ზღაპრული მოგება ჩაიჯიბეს მწარმოებლებმა. ოცდაათი წლის შემდეგ გადაწყვიტეს მარტენისათვის ძეგლი დაედგათ. კვარცხლბეკზე უნდა ყოფილიყო გამომგონებლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. მაგრამ, როდის მოკვდა მარტენი? თითქმის ორ წელს გაგრძელდა არქივებში ძებნა და ბოლოს გამოირკვა, რომ მარტენი ცოცხალია — მოხუცი, ღატაკი, ყველასაგან დავიწყებული.

## პირველი ფიზიკოსი ქალი

ლუიზა მაიტნერმა — გერმანიაში პირველმა ფიზიკოსმა ქალმა, 20-იანი წლების დასაწყისში შესძლო მიეღო სამეცნიერო წოდება. მისი დისერტაციის სახელწოდება იყო „კოსმოსური ფიზიკის პრობლემები“. რომელიღაც ჟურნალისტს იგი უაზრობად ეჩვენა და გაზეთში გამოაქვეყნა ასეთი ინფორმაცია: „კოსმეტიკური ფიზიკის პრობლემები“.

## რაზე საუბრობთ თქვენ მათთან?

სახელგანთქმული ფინელი კომპოზიტორის სიბელიუსის სახლში მიწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა მასპინძლის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მოწვეულთა მეტი რიცხვი მიეკუთვნებოდა ე. წ. საქმოსან წრეებს. — რატომ არის ეს ასე? — ჰკითხა მან სიბელიუსს, — რა საერთო გაქვთ თქვენ მათთან, რაზე საუბრობთ? — ცხადია, მუსიკაზე, — უპასუხა კომპოზიტორმა, — მუსიკოსებთან მე არ გამომდის ლაპარაკი მუსიკაზე, ყველა ისინი მხოლოდ ფულზე ლაპარაკობენ.

## შემოქმედების ტექნოლოგია

ერთხელ შვედი ქიმიკოსის იენს ბერცელიუსის მსახურს ჰკითხეს, თუ რას აკეთებს მისი ბატონი. მსახურმა უპასუხა:

— დილას განჯინიდან გამოაქვს ფხვნილები, კრისტალები და სითხეები.

— და მერე?

— ის ყოველივე ამას დიდ ჭურჭელში ჰყრის და ერთმანეთში ურევს.

— შემდეგ?

— გადაასხამს უფრო მცირე ჭურჭელში.

— მერე?

— მერე ყოველივე ამას ჩაასხამს ვედროში, რომელიც ყოველდღე გამაქვს სანაგვე ორმოში გადასაქცევად.

## ხანჯლით თუ საწამლავით?

ჰერცოგმა ჰენრიხ დე-გიზმა იცოდა, რომ ცოლი — ეკატერინე მას ღალატობდა. თუმცა ჰერცოგს ნაკლებად აწუხებდა ცოლის მუხანათობა, მაინც გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მისთვის.

ერთხელ გარიჟრაჟზე, იგი ერთ ხელში ხანჯლითა და მეორეში — ფიალით შევიდა მასთან ოთახში. მან ძალიან მკაცრი ტონით ცოლს ბრალდება წაუყენა ღალატისათვის და უთხრა: „ქალბატონო, როგორ გირჩევნიათ სიკვდილი, — ხანჯლით თუ საწამლავით?“ ქალი აქვითინდა და სთხოვა პატიება. „არა, ქალბატონო, აირჩიეთ!“ ქალმა დალია საწამლავი, დაეცა მუხლებზე და სიკვდილის მოლოდინში ღმერთს პატიებას სთხოვდა. ერთი საათის შემდეგ გიზმა დაამშვიდა იგი: საწამლავი მაგრად მოხარშული ბულიონი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გაკვეთილი საკმაოდ მკაცრი იყო.

შეკრიბა **სერგო აბულაძემ**

# სამკურნალო თუ საომარი პრეპარატი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად გაცხოველებული ექსპერიმენტები სწარმოებს ძლიერმოქმედი ნარკოტიკის — დიეთილამიდის მჟავის თვისებების შესასწავლად. ეს ნარკოტიკი ომის წინა წლებში ჭვავის სოკოსაგან მიიღო შვეიცარიელმა ქიმიკოსმა ალბერტ ჰოფნიმ. როცა მან სრულიად შემთხვევით შეისუნთქა ეს ფხვნილი, უმალ საოცრად ცუდად გახდა და მცირე ხნით ჭკუაზეც შეიშალა. როცა გამოჯანმრთელდა, დაიწყო ხსენებული პრეპარატის შესწავლა და აღმოჩნდა, რომ ეს იყო დღემდე უცნობი ნარკოტიკი. ამის შემდეგ ამ ნარკოტიკით ამერიკელი მეცნიერებიც დაინტერესდნენ, ზოგმა ის აზრიც კი გამოთქვა, ეგებ ეს პრეპარატი, ძლიერ მცირე დოზით, როგორმე სამკურნალო მიზნებისთვისაც გამოვიყენოთო. ვიდრე სპეციალისტები გულდასმით სწავლობენ ადამიანის ორგანიზმზე ამ ნარკოტიკის მოქმედებას, იატაკქვეშელი „ქიმიკოსები“ შავ ბაზარზე თავისუფლად ვაჭრობენ ამ „ჰიპნოზური ექსტაზით“. უკვე ოცდაორი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც ადამიანის ტვინზე ხსენებული ნარკოტიკული პრეპარატის საოცარი მოქმედება აღმოაჩინეს. ეს პრეპარატი გაცილებით მძლავრია იმ ჯგუფის ნარკოტიკებზე, რომლებსაც ჰალუცინოგენებსაც უწოდებენ.

დიეთილამიდის მჟავა თავისი სიმძლავრით ისევე ჰგავს ბუნებრივ ნარკოტიკებს ან სხვა ძველ თუ თანამედროვე ნივთიერებებს, რომლებიც ტვინზე მოქმედებენ (ალკოჰოლი, კოკაინი, ჰეროინი და სხვა დამამშვიდებელი და აღმგზნებადი ნივთიერებები), როგორც ატომური ბომბი ჰგავს ძველებურ შვილდისარს.

დიეთილამიდის მჟავას ერთი მეათიათასედი გრამი — უმცირესი ნაწილაკი, რომლის დანახვა შეუძლებელია გამადიდებელი შუშის გარეშე, სავსებით საკმარისია, რომ ნორმალური ადამიანი სიგიჟემდე მიიყვანოს. ნარკოტიკის ასეთი მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს რვა საათიდან რამდენიმე კვირამდე, ან მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამ ნარკოტიკის ოთხასი გრამი საკმარისია იმისათვის, რომ გონიერების დაკარგვამდე მიიყვანოს, დროებით მაინც, ოთხი მილიონი ადამიანი. ასეთი მძლავრი მოქმედების გამო დიეთილამიდის მჟავით დაინტერესდა პენტაგონიც, რომლის სპეციალისტებს იმედი აქვთ ეს ნარკოტიკი თავიანთ საომარ არსენალში შეიტანონ.

„ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინ“.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის მეტრო. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ცხენოსანი გოგონა. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-66 წ. გამომც. № 25, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 28.000. შეკვ. № 228, უე 02902

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

# შექსპირისა და დიკენსის სამშობლოში



1

შარშან ინგლისში ვიმოგზაურეთ, ბევრი რამ ვნახეთ. აქ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ძალზე დამახასიათებელია სენსაციის მოყვარული დასავლეთის პრესისათვის.

ლონდონში, საჰაერო ვაგზლის მოსაცდელში ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი შევამჩნიეთ. არავინ აცილებდა, მარტო იჯდა და ყავას შეექცეოდა (სურათი 1). რამდენიმე წუთის შემდეგ მას ფოტორეპორტიორების მთელი ჯგუფი მიესია — უღებდნენ სურათებს, ინტერვიუს ართმევდნენ, ვინ მოათვლის რა პოზა არ მიაღებინეს, რომ თავიანთი გაზეთებისათვის უფრო ეფექტური სურათები გაემზადებინათ (სურათი 2).

— რა მოხდა? — ვკითხე გიდს.

— ოო, ეს შვედი კინომსახიობი ბრიტ ეკლუნდი გახლავთ.

ჩვენ აღარ გაგვკვირვებია, ალბათ ცხრამეტი წლის ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა ან რაიმე პრემია მიიღო, ან დიდი წარმატებით გამოვიდა სცენაზე; ბუნებრივი იყო, რომ რეპორტიორები ძებნას დაუწყებდნენ.

მაგრამ, თურმე სადა ხარ! გამოირკვა, რომ ბრიტ ეკლუნდს ამ დილით უსაუზმია დედოფლის დასთან—მარგარიტასთან ერთად. ამიტომ ესეოდნენ მას კორესპონდენტები. მეც ვახელთე დრო და ეს ფოტოები გადავიღე.

ქალაქ ბრისტოლში ყოფნის დროს დამაინტერესა აი ამ ჯაჭვის ხიდმა (სურათი 3). მსუბუქი ავტომანქანით ამ ხიდზე გადასვლა ღირს 6 პენსი, ჩვენი ფულით დაახლოებით 6 კაპიკი. ხიდი კერძო პირს ეკუთვნის, აგებულია 1806 წელს.

განა შეიძლება ინგლისში ჩახვიდე და შექსპირის ქალაქი არ ინახულო? სტრატფორდის ცენტრში დგას გენიალური მწერლისა და ჰუმანისტის ძეგლი, რომლის ირგვლივ აღმართულია მისივე პერსონაჟების სკულპტურული ფიგურები (სურათი 4).

ვიყავით ქ. პორტსმუტშიც, ვეწვიეთ მეორე დიდ ინგლისელს—ჩარლზ დიკენსს. სურათზე მარცხნივ ჩანს დიკენსის სახლი, რომელშიაც ახლა მუზეუმია მოწყობილი (სურათი 5).

ზურაბ რუსია





2



4



3



5

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა